


ფასი 25 კპ.



№ 15

წელიწადი მთელი.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო უფრნალი.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. ყვავილი, ლექსი, ობოლი მუშისა. 2. რა მებრალეებით, დ. თურდოსპირელისა. 3. წერილი ძმას-თან, ა. ხაბულიანისა. 4. ესკიზი, შემდეგი, 5. ზენობნიელისა. 5. მგზავრი, ლექსი, ი. სიხარულიძისა. 6. ქორწილში, თაფ-თეთრისა. 7. მოლაღატეს, საველისა. 8. „გზა“, პიესა, სანდრო გურულისა. 9. ელეგია, შროშანისა. 10. შურის ძიების სხვერპლნი, შემდეგი, გ. ებრალიძისა. 11. კრიტიკა, ხომლეღისა. 12. მოგონება, რ. საჯავახოელისა. 13. რკინის მუხრუჭში, გერონტი ქიქოძისა. 14. სასიამოვნო მოვლინება, პ. ონრობეთელისა. 15. სომხური პრესა. 16. შენიშვნები, დასასრული, კირილე წუთისოფლეღისა. 17. მოგზაურობა რაქა-ლენჩუში, ამბერისა. 18. ახალი ქართული წიგნები.

1 ოკტომბერი 1916 წ.

ქ უ თ ა ი ს ი

სტამბა „ამობა“, პუშკინის ქ., სახლი იაკობ გოციელისა.

სსოფრმბა 15.

1 ოქტომბერი
1916 წ.

ორკვირული საბოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ყვავილი.

...და შენ წახველი...
გულის დამწველი
ვიგძენ ობლობა, ობლათ შეთენილმა...
და ეს ყვავილი,
ნაზ-ტკბილათ შლილი
მიძღვენ სახსოვრათ, ცით მოვლენილმა.

—
და აღერსს ტკბილსა,
გძნობით აღესილსა,
მას ჩაეჩურჩულე ნაზათ, ნარნარათ,
და შენ გიგონებ,
გულს მით ვიფონებ,
შენი სახე მაქვს, კაეშნის ფარათ!

—
ყვავილი ჰკნება,
ნელ-ნელა ჰრება...
ეჰ, გულში სევდა ფთებს შლის... მეფდება!
კრემლთ ნაკადული,
აზვირთებული,
ვაჰმე, ლაწვებზე აიკინძება!

—
კრემლო მდულარევე,
რულათ მჩქეფარევე,
ნუ ეწვეთები ყვავილს გულისას!
დე, ბედს არ ვგმობდე
დამეცა ვეძნობდე
შვების მგვრელ სუნთქვას გაზაფხულისას!..

—
ყვავის მთა-ველი,
მოსავს სხივთ ქსელი...
ჩემი ყვავილი ფერ-მკთალობს... ზრება...
ოხ, სატრფოვე, შვება,
თავისუფლება,
ნეტა, ოდესმე, თუ გვეღირსება?!...

ობოლი მუშა.

რა მებრალებით!..

(გუძღვნი ფრიდას.)

* *
ობოლო ნისლო!..
გაცრეცილო ნისლო!..
მარტოთ-მარტოკა დაწილოებთ...
არა გაქვთ კიდე... არ გაქვთ სავანე...
რა მებრალებით... რა მებრალებით,
ობოლო ნისლონო, რომ არ გაქვთ კიდე...

* *
ყვითელო ფოთლებო...
დამჰკნარო ფოთლებო...
შშობელ მკერდიდან ჩამოწყვეტილებს
მიგაფრიალებთ ქარი ავ-ყია...
მიგაფრიალებთ მქეჯნავ სიცილით
ჰანტობ ჰაობში დასამარხავათ...
რა მებრალებით... რა მებრალებით,
ულროოთ მზე-ბნელნო..

* *
მწველო კრემლებო!..
მდულარე კრემლნო!..
ჩემი ტიალი ცხოვრების ძმანო..
რა მებრალებით... რა მებრალებით,
რომ უთანაგრძობათ... უსაესაოთ, კვლავ
უბრუნდებით დამწვარ — დამჰკნარ გულს
და ტანჯავთ კენესით... მტანჯავ
ქვით-ქვითით...

* *
ყარიბო ძმანო...
ობოლო ძმანო...
ამაოთ მძებნო ბედნიერების...
რა მებრალებით... რა მებრალებით,
რო სულ ამაოთ იწვევთ მეგობარს, ნუგეშინს
მცემს...
ახ, ვით მებრალებით, ბედკრულნო
ძმანო, რო ვერ ეღირსვით ლამაზ ცხოვრებას...
ქ. ბოლი. 7 ნკენ. 16წ.

დ. თურდოსპირელი.

წერილი ძმასთან*)

ჩემო ძმაო, სად გეძიო,
 შე, ბედ შავო, სად მოგნახო;
 მწარე ხვედრით დაბრყვებულს,
 უძლურს ხელი, ვინ შეგახო?..
 უბედობა თანა გდევდა,
 არ გაღირსა ტკბილი წამი;
 ცივი ქვეყნის, კივმა გულმა
 გაგიტარა გულის ისარი...
 შენ ცხოვრებამ შხამი გასვა,
 შეგიმზადა მან ძიმწარე;
 ბედის წერამ
 გაგიტახარა შენ სამარე...
 ვინ უწყს, გული, რას გითქმოდა,
 როცა სული გეცლებოდა,
 ფიქრი, ზრახვა, შენი, იქნებ,
 მშობელ მხარეს ევლებოდა...
 იგონებდი შენ წარსულ დროს,
 იგონებდი ტკბილ მეგობრებს,
 წმიდა გძნობით აღტყინებულთ:
 ბძოლის ველზე დაცემულებს...
 იმედის სხივს შენთვის ჩამქრალს,
 შავათ მოსილ გულის ნებას;
 შენ პაწა შვილს, შენს უცნობელს,

შენ ქვეყნას, მშობელ კერას...

უბედურო! მოგონებით
 შეგებას მხოლოდ დროით გძნობდი,
 ან ვინ გყავდა სულის ტოლი,
 გულის პასუხს, ვის ანდობდი?..
 ყველა შენი იმედები
 საღაღაც შორე ჩაიფერფლა,
 სულს შეეხო შენი ხვედრი,
 და გულმა მეც შემომკვინესა...
 ვაჟმე, ძმაო, მოგონება,
 სიყმის ფიქრი მეც მამწარებს:
 ფიქრი ფიქრს სდევს, მოსაგონათ
 და მაგონებს შენს დღეს მწარეს...
 შენმა ხვედრმა დამაფიქრა...
 დამალონა მე ბედშავი:
 თვალ-წინ მიდგას, ტიალ-მიდგრათ,
 შენი, ძმაო, მე საფლავი...
 იქ საფლავი სხვაც ბევრია,
 შენებ ტანჯულ უბედოთა,
 ბევრი ცრემლი, ბევრი, ძმაო,
 მათ გარშემო დაეწვეთა...
 მარა ხვედრი, მათი მწარე,
 ამით ვერვინ ვერ შეკვალა;
 ლამის გავწყდეთ, ლამის, ძმაო,
 ჩვენი კერა დაიკალა...

ა. ხაბუღიანი.

*) „თანამედროვე აზრი“, №158 და 187.

მკვლავრი.

მომეწყინა ბარში ხოხვა, -- აქ თვალეზი ვერას ხედავს,
 აქ დღიური ზრუნვა, ფიქრი, სულის სწრაფვას ბოქავს, ქედავს,
 მთებს ვესწრაფვი, მსურს ვეწვიო ცათ ატყორცნილ მათ მწვერვალებს,
 და იქ, მჯერა, სევდის ღრუბელს ჩამოვაცლი დაღლილ თვალებს,
 იქ ფთებს გავშლი... იქვებს მოკლავს მაღალ ზეცის სიახლოვე,
 სიხარულათ შემეცვლება, რაც ვიკვნესე, რაც ვიგლოვე...
 და, ჰა, ლტოლვით აღტყენილი, წერილ ბილიკებს ზე მივყვები,
 ფებს მიკაწრავს ნარ-ეკლები, კლდის ნამტყრევი, ბასრი ქვები...
 წინ ვისწრაფვი, კლდეებს ვთელავ, მინდა ვძლიო იქვი, შიში,
 აღარ მინდა გავუწიო გზის სიძნელეს ანგარიში...
 მარა, უტყფ, ხმა მომესმა, ხმა იმედის, რწმენის მკვლელი:--
 „იცი, რა გზა გავგილია?-- ან წინ, რა გაქვს გასაველილი?!“....
 შევეკრთი, შევედექ, მოვიხედე, თვალწინ ბარი გადმეშალა,

მომხიბვლელათ დამეხატა მიღორ—ველი, მწვანე ქალა,
 და გავლილი ადგილები, რაც რო ზევით მივიწვედი,
 თვალწარმტაცათ მეხატოდა, რასაც წინათ ვერ ვარკვევდი.
 წინ-კი სავალ კლდე-ხრიოკებს დასასრული აღარ ქონდა,
 მთის მწვერვალი შორს მოჩანდა, შვედქე, გული დამიღონდა,
 მარა უკან დაბრუნებას და გავლილ გზებს არ ვირჩევდი,
 ლტოლვის ჯინით შეპყრობილი წინ მივქროდი, წინ ვიწვედი....
 ოპ, ყოფნის გზავ, ვინ მიენდოს, შენს აკიბულ საფეხურებს,
 დაუშრეტი სრბოლის ცეცხლი სულს გვიჯანყებს, გულს გვიხურებს
 აწმყოს ვწყევლით, იმავ აწმყოს, კვლავ შეენატრით მომავალში,
 მომავალი აწმყოთ ხდება, სხვა მომავალს მივდევთ კვალში...
 და, ვინ იცის, ყოფნის მიზანს, ვინ მიწვდება, ვინ მიაღწევს,
 საიდუმლოს შავბნელ ფარდას,—ვინ ჩამოხსნის, ვინ ჩამოსწევს.

ი. სიხარულიძე.

ქუთაისი—ფერმა. 8 ივლისი.

ქორწილში.)*

ერთ საღამოს ხარ-ურემი შევაბი და წის-
 ქვილში საფქვაფი წავიღე. იმ ღამეს იქ დავრჩი.
 მეორე ღღეს კარგათ გათენებულიც არ იყო,
 რომ მამასახლისმა და იასაულმა მოიბრინეს ჩემ-
 თან, მტაცეს ხელი და ბოქაულთან წამიყვა-
 ნეს.

ბოქაულმა მკითხა:

- წუხელი სად იყავი, შენ?
- წისქვილში-მეთქი.
- რა გინდოდა წისქვილში?
- ურმით საფქვაფი ჩავიტანე და თელი

ღამე წისქვილს ვყარაულობდი.

— სიცრუეა—გაწყრა ბოქაული—წუხე-
 ლი შენ წისქვილში სრულებითაც არ ყოფილ-
 ხარ. შენ იაკინთეს მიხტომიხარ სხვა ავაზაკებ-
 თან ერთად და გავიცარცვავთ იგი...

მე ამ სიტყვებმა თავ—ზარი დამცა. გულ-
 ლი შემიღონდა და აღარც-კი ვიცოდი, რა
 მეთქვა. ვატყობდი მხოლოდ, რომ ეს ყოლი-
 ფერი იაკინთეს მოხერხება იყო და ჩემი წინათ-
 გმნობაც მეუბნებოდა, რომ ამ მოხერხებას მე
 უნდა დავეღუპე...

— ვინ მოგახსენათ ეგ ამბავი? ვინ არი,
 რომ უღანაშაულო კაცს ყელის გაჭრას მიპი-
 რებს? —ზარ-დაცემულმა დავიწყე კითხვა.

ამ დროს ოთახში, სადაც მე და ბოქა-

*) იხ. „ცხოვრება“, №13.

ული ვიყავით, იაკინთეც შემოვარდა.

— ეს იყო, დიახ, ეს იყო—მიუთითა
 ბოქაულს ჩემზე. ამას ძლიერ კარგათ ვიცნობ;
 ეს რამდონი ხანია, ჩემ მეზობელ იასონთან არი
 და მე მას, თითქმის ყოველ ღღე ვხედავ... ეს
 იყო, რომ ხანჯალ-ამოდებული დამადგა თავზე,
 ეს იყო, ბატონო, თავის ამხანაგებს რომ შეძა-
 ხა: „მოგკლათ, თუ ფულის მოცემასზე ვარი
 გაბედოს!“ და ბევრი სხვაც თქვა იაკინთემ.

ბოქაულმა დაწერა რალაც ქალაღღები
 და მე ყარაულ ქვეშ დატუსაღებული გამომ-
 ძიებლთან გამგზავნა.

გამომძიების დროს, გარდა იაკინთესა, კი-
 დევ გამოჩნდნ ორი მისი მოსამსახურე და
 ერთიც უსაქმო, ცრუ აზნაური, რომელთგან
 პირველებმა იაკინთეს სიტყვები დაადასტურეს
 და თქვეს, რომ ჩვენი საკუთარი თვალით ვნა-
 ხეთ ნიკო და სხვებიცო, ვიცანით კიდევ ისი-
 ნიო. ხოლო აზნაურმა-კი დაამოწმა: სხვგან
 ვიყავი და შინ გვიან მოვდიოდით, ამ დროს
 გზაში შემეფეთა ოთხი შეიარაღებული კაცი,
 რომლებიც კარგათ ვიცანი (უჩვენა ჩვენზე).
 ესენი ყველანი იაკინთეს ეზოდან სიჩქარით
 გადმოვიდნ და გზაზე, თითქმის სირბილით
 მოდიოდნო.

გამომძიებელმა ჩვენ ოთხივე საპყრობილე-
 ში გაგვზავნა.

ცხლათ ვხედავდი, რომ ვილუბოლი მარ-
 თალი აღამიანი. მღუპავდა იასონის და იაკინ-
 თეს ერთმანეთის მტრობა... მე, რასაკვირვე-

ლია, კარგათ ვიცოდი, რომ ეს საქმე მხოლოდ იაკინტეს შეთხზული ცილის წამება იყო და სხვა არაფერი. ვიმედოვნებდი, რომ ღმერთი სიმართლეს არ დამიკარგავდა და იასონიც არ მოაკლებდა თავის საცადს სიმართლის აღსადგენათ და უდანაშაულო ხალხის სახსნელათ. ჩემთან ერთათ, ამ საქმის გამო, დატყვევებული იყვენ სამი სხვა, იასონის მეზობლები, რომელთაც იაკინთე ჩემთან ერთად თავდასხმას აბრალვდა. ესენი იყვენ უმთავრესი მოწმეები, რომელთა ჩვენებითაც გათავდა იაკინტეს და იასონს შორის—დავა მამულის შესახებ და, რომელი დავაც იაკინთემ წააგო. ისინიც ჩემებ მხოლოდ ღმერთს შეყურებდენ და იასონის იმედით იდგამდენ სულს.

თითქმის რვა თვე გავიდა და ჩვენი საქმე სასამართლოში, რაღაც მიზეზებისა გამო, გასარჩევათ დანიშნული არ იყო. იასონი, თურმე, დიდ მწუხარებაში ჩავარდა და ეს საკვირველიც არ იყო: მან კარგათ იცოდა, რომ ჩვენ ოთხი კაცი უდანაშაულოთ ვიღუპებოდით, გვლუბავდა მისი დაუძინებელი მტერი იაკინთე, მისი ერთგულებისა და მორჩილებისთვის. იასონი მეცადინობდა, ვეჭილებს ეძებდა, არ ზოგავდა ჩვენთვის არაფერს.

საპრობილეში გვინახულეს იასონისგან არჩეულმა საუკეთესო ვეჭილებმაც და საქმის შესახებ ბევრი რამ გვკითხეს. ეტყობოდა, რომ ჩვენი საქმე მათ კარგათ შეესწავლათ; მიმხვდარი იყვენ, რომ ამ საქმის სარჩული მტრობა და კილის წამება იყო და იმედიც ქონდათ, რომ შეძლებდენ ამის გამოაშკარვებას სასამართლოში.

—იმედი იქონიეთ—გვითხრეს ვეჭილებმა. ჩვენ შევძლებთ გამოვაშკარაოთ ყველაფერი ამ საქმის სინამდვილე!

მათ იმედი ქონდათ, რომ იაკინტეს და მის ცრუ მოწმეებს, რომლებიც ასე უღვთოთ გვატყუნებდენ ჩვენ ისინი, სასამართლოში, კითხვის დროს, სიმართლეს წარმოათქმევინებდენ და, ამ გვართათ, გამოძიებულთან მათგან მიცემული, ჩვენი დამლუბველი ჩვენება გაუქმებული იქნებოდა. მარა მოტყუვდენ ვეჭილები: იაკინთე ძლიერ გამოკითილი იყო სასამართლოებში ძრომით და იმასაც, თურმე, წარმოდგენილი ქონდა, რომ სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემა, ისე ადვილი არ არი, როგორც გამოძიებულთან და სიმართლის დაფარვა ძნელია, მეტადრე იმ დროს, როდესაც დახელოვნებული და საქმის კარგათ მკოდნე ვეჭი-

ლებს ჩაუარდება ხელში ცრუ-მოწმე და ამისთვის ამ გვარ ხერხს მიმართა. სასამართლოს წარუდგინა მკურნალთა ყალბი მოწმობა, რომლითაც პატივცემული მკურნალები იაკინტეს და დანარჩენი მოწმეების, ვითომ მძიმე ავთ-მყოფობას ადასტურებდენ და, ამ გვართათ, იაკინთემ ცრუ მოწმობის გამოაშკარავების შიშით აიკადინა თავიდან და ჩვენი დალუბვაც უეჭველი გახდა...

სასამართლომ მკურნალთა მოწმობა სარწმუნოთ მიიღო, მოწმეების გამოუცხადებლობის მიზეზი—ავთმყოფობა—კანონიერათ იცნო, გამოძიებულთან მათგან მიცემული ჩვენება წაიკითხა და, რათგანც ამ ჩვენებაში ჩვენი სასარგებლო არაფერი ყოფილა, ჩვენ ოთხივე გვიცნო დამნაშავეთ და კატორღაში გავვაშწესა.

საქმის ამ გვარმა დაბოლოვებამ იაკინთე, რასაკვირველია, უზომოთ გაახარა. ხოლო იასონს—კი თავ-ზარი დასცა. მან ვერ აიტანა სირცხვილი და მალე გარდაიცვალა. ამ გვართათ, ეს ერთათ ერთი იმედიც-კი მოგვესპო და სრულიათ წყალ-წაღებული შევიქენით.

(შემდეგი იქნება.)

თავ—თეთრი.

ესკიზი*.)

II.

ჩამავალი მზე უკანასკნელი ღიმილით ეთხოვებოდა მათათა მწვერვალებს... გაფერ-მკრთალებული ბინდი მწუხარებით ეშვებოდა ღამის წყვილიდში.

შემოდამების აჯანყებული ნისლი, წეროების გუნდებით, დაცურავდენ დასერილი ცის თაღზე, ვით უკიანის ტალღებში იალქნებ სხვრეული მოხეტიალე მეზღვაურის ნავი.

თეთრათ ნაპენტი ღრუბელთა ნაკვთები, ვით უდაბნოს ლეგა ქარავნები, მიექანებოდენ სადღაცა შორს, სულ შორს და იკარგებოდენ ცის განუსაზღვრელ უფსკრულში. სადღაც შორით, მეორე მთის გადაღმიდან ისმოდა განწირულის უიმედო კვნესა და კვილი, რომელიც იკარგებოდა ავსულთა საშინელ ხარხარში...

ცოდვილი დედა-მიწა თვის უხემ კერპს შესაწირავს უმზადებდა, მიყავდათ აუარებელი

*) იხ. „სხოვრება“, № 14.

სხვერპლი და იქვე მის წინაშე ძალით აწამებდნენ მათ.

და არ უჩნდა დასასრული ამ წამებას და გძელდებოდა იგი დაუსრულებლივ.

კუბოთ ქცეული წუთი სოფელი თვის შავ მიწაში ეზიდებოდა ახალგაზდა ჭაბუკთ. ირგვლივ—კი ისმოდა სასოწარკვეთილებით აღსავსე კვნესა და ოხვრა მშვიერ-ობოლთა და დავრდომილთა. დედანი, ძაძით მოსილნი, მოთქვამდნენ საყვარელ შვილებს... ახალგაზდა ასულნი დატიროდნენ დაკარგულ სიყვარულს.. მოხუცი მამაკაცები, ყავარჯნებით ხელში, დაეხეტებოდნენ ქუჩა—ქუჩა და ბაასობდნენ დღეინდელ საშინელებაზე... მოიგონებდნენ მათ მარჩენალ შვილებს და მათ ჭალარა წვერებს ფარავდა ცრემლთა ნაკადულები.

ასული იგი იდგა კავკასიონის მწვერვალზე, ღრმა სევდით აღსავსე და გაცქეროდა ჩამავალ მზეს, რომელიც ისე ჩანდა ცის დასავალთან, როგორც ცხეღარი ვეცხლის კუბოში.

ვით შემოღამების დროს, შემოდგომის მღელვარ ქარიშხლოვან ღამეებში, იცის ხოლომე მოზღვავება შავმა მოფორიაქე ფიქრებმა, ისე გადაშლილ იყო მის თვალ-წინ უდაბნო ფიქრთა, რომელსაც არ აქვს დასასრული კაცთა ქვეყანაში...

სად არი, სად, ახლა ჩემი არჩილი? გულის სიღრმიდან, გმინავი ოხვრით, აღმოსკდა მას.

ვინ იცის? შეიძლება, ახლა გულ—გაგმირული ავღია ტიალ მიდორზე და ყვავ-ყორნები დაჩხავიან თავზე. ვინ მომცემს პასუხს, ვინ?!.. ეს მზე, რომელსაც ახლა მიფერებიავარ. დღეს მიფარდება თვალთა სივრცეს. მარა ხვალ კვლავ ვიხილავთ მას. ვის შეუძლია შეაჩეროს სიკვდილის განაჩენი, ვის შეუძლია დააბრუნოს დაკარგული სიყვარული, ვის?!..

სასოწარკვეთილებით იძახდა იგი. მზე-კი ეფარებოდა ცის დასავალს. მზე ჩადიოდა....

ღამემ შეთხზა მწუხრული და ამ მწუხარე მელოდით აკვნესდა მთა და ბარი...

ასული დაბრუნდა სახლში. ტანთ გაიხადა და და ლოგინში ჩაწვა. დაღლილ-მოქანცულ-

მა თვალები მილულა. და ამ დროს მან იხილა სიხშირი...

თითქოს ის დგას ტყის პირათ, დაფიცებულ ჭადრის ძირში და ელოდება ლევანს. გული საშინლათ უღელავს. ლევანი-კი იგვიანებს. ნეტავ, რატო დაიგვიანა...

ამბობს ის, თავისთვის: აგერ, ხედავს ლევანიც გამოჩნდა. შეყვარებულები ერთმანეთს მოუახლოვდნენ და გადაეხვიენ. თამრო სიხარულის ცრემლებსა ღვრის, უხარია; მიწაზე არ დგას, სიხარულით ცაში ფრინავს...

მარა პირველი სიხშირი, მეორემ—შეცვალა. ისინი დგანან—საშინელ კარჩხალის პირათ. ძირს აღიდებული სისხლის მდინარე მითარეშობს...

ამ დროს ვილაცა უკანიდან მოეპარა ლევანს. კრა ხელი და გადაუშვა ძირს, ამ თვალ-უწვდენელ კარჩხალიდან...

გამოეღვიძა...

თავს საშინელათ გძნობს, გონება ეფანტება. სურს დაიძინოს, მარა ვერ შეძლო. სული მისი სადღაც შორს ეძიებდა ნავთ-საყუდარს. მარა ამაოთ...

შვალამისას, აანთო მან სანთელი და ხელებ აპყრობილი, ცხარე ცრემლთა ფრქვევით შეღალადებდა შორეულ უხილავს სატრფოს ღ თხოვდა დაბრუნებას.

დიდხანს ლოცულობდა იგი და მოიქანცა... ამ ლოცვაში სანთელიც ჩაქრა და კიდევაც გათენებულყო. ნ. ზენობნიელი.

(შემდეგი იქნება).

მოღალატეს.

(გუძღვნი ზოგიერთებს.)

რით შეგამკო? რა მოგიძღვნა, ქამელეონს შესაფერი? ორ ფრონტზე მკის, მოღალატევე, ურცხვათ შენი „მარჯვე“ ხელი. ერთსაც ეტრფი, მეორესაც(!), ორთავს უძგერს შენი გული. ძმას დაკლავ და მტერს ეძმოზი, თუ მოგიძღვნეს ჯილდოთ ფული.. ასეთია შენი მწამსი. სხვა არა გწამს, ამის გარდა,

დღეს „ღინგით თხრი იმავ ხის ძირს,
რის ნაყოფმაც კვება—გზარდა“...
მაშ, შორს ჩემგან: ქვემძრომობით,
რაც შეგვასვით შხამ—ძიმწარე,
იმისთვისაც ზიზლი, კრულვა,
ჩვენგან „ჯილდოთ“ ეს იკმარე...

ქიათურა.

საველ^ა.

„გზა.“^{*}

(შემდეგი).

გერმანე.— ძალიანი აზრია, დიახ, ძალიანი!
მე არავითარი სურვილი არა მაქვს დონ-
კიხტივით ქარის წისქვილებს ვეომა. დიახ,
არავითარი სურვილი! ბრმა-კი დაინახავს, რო
ხალხი ღორმუცელაძესთან ვაჭრობს. მერე,
რატო? განა იმიტო, რომ ის ჩვენზე იაფათ ყი-
დის საქონელს? სრულიათაც არა! ეს მიტო,
რომ ის სარგებლობს ხალხის სიბნელით დ
სხვდა და სხვა ხრიკებით ფონს გადისა
მერე და რა უნდა ვიღონოთ ამის წინააღმდეგ.
რა საშვალეებას მივმართოთ, რო ხალხს შევა?
გნებოთ, გავაგებოთ, თუ ვინ არიან-
მათი მტრები და მოყვრები? განა კმარა მარტო
გამგეობაში ჩარევა ნესტორის, გინდ ვახუშტის?
არა, ეს არა კმარა! საჭიროა, რალაც მეტი
და ეს მეტი უნდა მოვიგონოთ, შევქნათ, დი-
ახ, საჭიროა! სხვაფრივ მუშაობა-კი წყლის
ნაყვია და მეტი არაფერი!

თედორე.— სწორეთ ძალიან მაკვირვებს
შენი ასეთი გამოცვლა. რა მოხთა, კაცო,
ისეთი, ა? მგონი არაფერი. მართალია, ჩვენმა
კოოპერატივმა დღეს ცოტა წაიფორხილა. მა-
რა ეს იმას არ ნიშნავს, რო ხვალ ისევ ფეხზე
არ წამოდგება. საჭიროა, ხალხმა შეიგნოს მისი
უადრესი მნიშვნელობა, სულით და გულით
მოეკიდოს მის პატრონობას ღ ისიც გამოცოც-
ხლდება!

გერმანე.— საჭიროა, საჭიროა, მეც ვიცი,
რო საჭიროა ხალხის შეგნება. მარა შენ ეს
მითხარი, როგორ შევაგნებოთ ამ ბნელ ხალხს,

როგორ, რომელსაც ისიც ვერ გაუგია, რო
ღორმუცელაძე ტყავს აძრობს მას?

თედორე.— როგორ და თან და თანობით.
ერთად ხო ყველაფერი არ გაკეთებულა და
არც გაკეთდება. დღეს ერთი შეიგნებს, ხვალ-
მეორე და, ბოლოს, ყველანი გათვითცნობი-
ერდებიან. (გზახე გამოჩნდებიან აპო და თამ-
რო.)

ჰმა.— (თამროს) შეხედე, შეხედე, თედორეს,
როგორ ეწევა აგიტაციას! (მიუახლოვდებიან
მათ). გამარჯობა თქვენი, პიონერებო, გამარჯო-
ბა! როგორაა თქვენი საქმეები, ა?წინ, წინ მიდის,
თუ უკან?

თედორე.— როგორ გინდა, რომ იყოს?
არც ისე ცუდათ, შენ, რო გგონია?

ჰმა.— ხა, ხა, ხა, ხა არც ისე ცუდათ მე,
რო მგონია, არა? ჰო, ეს-კი მართალია! მარ-
თლა, კაცო, მგონი, ერთი კოოპერატორი
გშორდებათ, ა? სამსონს ხო სოფლათაც კარ-
გათ შეეძლო ცხოვრება!

გერმანე.— გეშორდება მიტო, რო სულე-
ლია! მის ადგილას, რო ვიყო თავის დღეში
არ მოვცილდებოდი სოფელს.

თედორე.— არაფერია! სოფელი უსამსო-
ნოთ და უაპოვოთაც იცოცხლებს. (აპოს) კი,
მარა სამსონზე რომ ამბობ, რატომ აპოს არ
შეეძლო სოფლათ მუშაობა, ა? რატო
გაუბრის ის ჩვენ გაძვალ-ტყავებულ გლეხობას,
რატომ?

ჰმა.— ხა, ხა, ხა, ხა! რა სისულელე
მესმის, რა სისულელე. განა არ იცი, რატო
გაუბრებარ დღეს სოფელს? ეგ თუ არ იცი,
ჩემო ძამიავ, გულახტილათ უნდა გითხრა, არა-
ფერი არა გცოდნია. ბიკო და, განა შენზე
უარესათ ვმუშაობდი სოფლათ მაშინ, როცა
ეს მოსახერხებელი იყო? ნუ თუ არ გახსოვს,
როგორ თავგამოდებით ვმუშაობდი ერთ დროს
სოფლათ? ნუ თუ არ გახსოვს, როგორ ვათე-
ნებდით მაშინ ღამეებს, რო თვითშეგნების
სხივი შეგვეტანა გლეხებში? მარა მას შემდეგ,
დრონი იცვალენ: ის, რაც მაშინ შეიძლებოდა
სოფლათ გაგვეკეთებია, ახლა ყოვლათ შეუ-
ძლებელია! ტყულა ყოფნას-კი მე დაჩვეულ
არ გახლავარ. აი, სწორეთ ამიტო გაუბრ

* იხ. „ცხოვრება“, № 14.

ვარ დღეს სოფელს, დიახ, ამიტომ... დადგება დრო და სოფელსაც დაუბრუნდები. დღეს-კი... დღეს, ასეა საჭირო და ასე უნდა ვქნათ...

თედორე. — ისე, რომ შენი აზრით, რათ- განც დღეს სოფლათ საზოგადოებრივ კულტურული მუშაობა ძნელი ყოფილა, ჩვენ, ყველამ უნდა ავიბარგოთ და გადავსახლდეთ ქალაქში, სოფელი-კი უნდა დავტოვოთ შავი ძაღვების საძიძენათ, ხომ? არა, ძმავ, არა, ეგ აზრი შტინდის შეინახე! მართალია, დღეს ძნელია სოფლათ საზოგადოებრივი მუშაობა, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის საჭირო არ იყოს და აუცილებელიც. ჩვენ, თუ გვინტერესებს სოფლის სიბნელე, შეუგნებლობა და ჩვენი გაძვალ-ტყავებულ გლეხობის ბედ-იღბალი, მაშინ ეს სიბნელეც უნდა დავძლიოთ!

აზ. — კარგი და პატიოსანი! მხოლოდ ერთი ეს მითხარი! რაში გამოიხატება დღეს სოფლათ თქვენი მუშაობა? განა მარტო იმაში, რომ ეს დუქანი გაგისწიათ და შიგ ორი თავი ტარანი და ხუთი ცალი სფიჩქა დაგიწყვიათ? არა, ძმავ, ამით თქვენ ვერ იხსნით ჩვენ გალატაკებულ გლეხობას იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ის იმყოფება. უნდა იცოდეთ, რომ კოოპერატიული მოძრაობა, როგორც ბევრს გონია, ვერ დაამყარებს ქვეყნათ იმ ეკანომიურ ბედნიერებას, რომლისკენაც ჩვენ ვესწრაფებით. მაშასადამე, მის გარშემო მუშაობა ვერ შეადგენს ჩვენ თავ მიზანს... საჭიროა, სხვა მუშაობაც: აუცილებელია გლეხს კლასობრივი თვითშეგნება მივცეთ, რომ ნათლად ქონდეს წარმოდგენილი თავის უმწეო მდგომარეობის მიზეზები. ასეთი მუშაობა-კი ამ ჟამათ სოფლათ ყოველათ შეუძლებელია. შენ, როგორც მეურნე, კიდევ ჰო, შეგიძლია სოფლათ თავის შექცევა! ვიცხას რაღაცას დაუმყნი, ან დაურგავ. მარა ამ კაცის დღეს სოფლათ ყოფნა (უჩვენებს გერმანეზე) უაზრობაა და მეტი არაფერი.

გერმანე. — (გულმოსული) თავი დამანებე, თუ კაცი ხარ, მაგ შენი უხვირო ლაპარაკით. სულ ერთია, რამდენიც არ უნდა გიმტკიცო წინააღმდეგი, შენ მაინც შენსას გაიძახი. მე

შენზე უკეთ ვიცი, სად შემიძლია მეტი სარგებლობის მოტანა და სად-არა! (გულმოსული დადის, სავაჭროს კარებში გამოჩნდება სეფე).

სეფე — (თედორესკენ) თედორე, მობძანდი, მობძანდი, ბატონო, ერთ წამში საქმე აქვთ შენთან (თედორე აპოს ხელს მოკიდებს და სავაჭროსკენ მიდის.)

თედორე. — (აპოს) შენ გინდა ვაიგო, რას ვაკეთებთ დღეს ჩვენ სოფლათ? რიცხვით ცოტას, ჩემო ძმაო, მარა ხარისხით-კი ბევრს. თავამათ შემიძლია ვითხრა, რომ მარტო ამ კოოპერატივის-კი დიდი სარგებლობა მოაქვს სოფლისთვის, მატერიალურის მხრივ. შეიძლება ჯერ-ჯერობით იმდენი არაფერი, მარა შეგნების მხრივ-კი, უქვევლათ! (ლაპარაკით შედიან სავაჭროში.)

თამარ. — მე სრულიათ ვეთანხმები თედორეს. ჩემი აზრითაც სოფელში ბევრი საქმეებია გასაკეთებელი და რაღა ქალაქში გავრბივართ. ჩვენ გლეხებზე უფრო გაჭირვებულნი ვინდა იქნება? სოფლის ინტელიგენტებმა სოფელში უნდა იმუშაონ, ქალაქისამ-კი — ქალაქში.

გერმანე. — ჰე, ჩემო კარგო, არც მაგრეა საქმე, შენ რომ გგონია. თუმცა აპოს ბევრში არ ვეთანხმები, მარა არ შემიძლია არ დავეთანხმო იმაში, რომ დღეს სოფლათ წაყოფიერი მუშაობა მართლაც და შეუძლებელი ყოფილა. სხვას, არ ვიცი, ჩემო კარგო და მე-კი არ მაკმაყოფილებს აქაური ჩემი მუშაობა. მე მინდა მეტის გაკეთება და შემიძლია კიდევ ვერ გადამიწყვეტია სოფლიდან წასვლა...

თამარ. — რას ამბობ, გერმანე? როგორ, თუ გადაგიწყვეტია? განა ფიქრობ კიდევ სოფლიდან წასვლას? მე რე, მე? მე რაღა უნდა ვქნა?

გერმანე. — არა, არა, ჩემო კარგო! მე ისე ვთქვი. თუმცა, მართალია, თან და თან ვრწმუნდები იმაში, რომ ჩემი მუშაობა სოფლათ დღეს წყლის ნაყვია და მეტი არაფერი. მარა ჯერ კიდევ მისი მიტოვება არც-კი მიფიქრია. სოფელიც რომ დავტოვო, ჩემო კარგო, განა შენ დავტოვებ, ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში?

თამარ. — მე-კი კინალამ გული გამისქდა! (სიხარულით), მართლა, გერმანე, იცი, რა გახარო? (სავაჭროდან გამოდიან ივანე და პეტრე და გადიან.)

გერმანე.—აბა, რა?

თამარ.—რა და წუხელის აბო მეელაბა-რაკა მამას ჩვენ შესახებ.

გერმანე.—მერე, მერე.

თამარ.—მერე და მამა ჯერ უარზე იდგა, მარა შემდეგ, როგორც იყო, დაეთანხმა აბოს, მხოლოდ...

გერმანე.—(ვახარებული) რას მეუბნები, თამარო, რას?

თამარ.—მხოლოდ ერთი პირობითო: თუ ჩვენ კანცელარიაზე მწერლათ დადგებოდა და ოჯახსაც მიაკეთ-მოაკეთებოდა. მე კარგათ ვიცი, გენაცვალე, რო შენოვის ეს სამსახური შეუფერებელია და სასირცხვიოც. მარა ვიფიქრე-ეგებ, ცოტა ხანს მართლა შეიძლებოდეს და-თანხმება ამ თანამდებობაზე, რო დევითანხმობთ მამაჩემი და ამდენ ჩვენ ტანჯვას ბოლო მოეუ-ლოთ. თეოფილესთვის კი უკვე უჩვენებიათ ცი-ხის კარები.. ის მეტს, ალბათ, ველარ დაბრუნ-დება ჩვენ სოფელში.

გერმანე.—არა, არა, ჩემო კარგო. ეს ყოვე-ლათ შეუძლებელია. მე სოფლის მწერლათ? ექვთიმე ცემადის ლაქიათ? არა, არა ამას ჩემი ბუნება ვერ აიტანს! უმჯობესია სხვა გზა, სხვა საშვალეება გამოვიძებნოთ, ოღონდ-კი არა ეს. სულ ერთია, ჩემო კარგო, გოჯასპრის სიკერ-პე-კი არა, თვით სიკვდილიც ვერ დაგვაშო-რებს ჩვენ ერთმანეთს. ვეცადოთ და ყველა-ფერს მოვახერხებთ, ყველაფერს მოვესწრებით, განა შენც იფიქრე, რო მე დავთანხმდებოდი მამაშენის ასეთ პირობას?

თამარ.—მომიტოვე, ჩემო სიცოცხლე, თუ გაწყენიე! ხომ იცი, მიყვარხარ და შენმა სიყვარულმა მაფიქრებია ყოველივე ეს. (ლაპა-რაკით გამოდიან სავაქროდან აბო და თედო-რე).

აბო.—მასე, ჰო, მასე, ეცადეთ! შეიძლე-ბა, მართლაც, თქვენი კოოპერატივი, ისე ვაი-ზარდოს, ისე, რო როჩდელეების საზოგადოებას დაემზავდესო. მხოლოდ ნუ გაგიტაცებთ-კი მარ-ტო მის გარშემო მუშაობა. როგორც წებან ვთქვი, მართო კოოპერატივები ვერ უშველის სოფელს. უნდა მიაქციოთ ყურათღება საზო-გადობრივ ცხოვრების სხვა დარგსაც. გისურ-ვებთ გამარჯობას. (თამარს). აბა, თამარო, წავიდეთ! (მიდის).

თედორე.—(თამარს). ეგ რა წიგნია, თამ-რო? გლეხი კაცის ინტორია? უკვე დაიწყე კითხვა? რამდენია მსმენელი?

თამარ.—ჯერ-ჯერობით შვიდია; დღეს სხვებიც დაესწრებიან.

თედორე.—ძალიან კარგი! ამელამ მეც დაგესწრები (გერმანეს). წამოდი, კაცო, ცოტა გავიაროთ! არ მოგწყინდა ამდენი ჯდომა? ჯერ, აგერ, კითხვაზე დავეხმაროთ თამარს და მერე-კი სამსონს ვესტუმროთ, გზა დავულო-ცოთ და ვახშამიც მივირთვათ... რაც უნდა იყოს, სამსონი ყოფილი მომუშავე მაინცაა.

თამარ.—აღე, აღე, გერმანე, გავიაროთ!

გერმანე.—ჯერ აქ ცოტა საქმე მაქვს და მერე-კი, უსათუოდ, მოვალ!

თედორე.—ეე, საქმე არა, იგი არ გინდა. (ღიმილით). მალე მოდი, მალე, თორე, ხომ იცი, თამარო უშენოთ ლექციას არ დაიწყებს (თედორე და თამარო მიდიან, გერმანე ცოტა ხანს ჩაფიქრებული ზის, შემდეგ ადგება და სავაქროში შედის.)

(ფარდა.)

სანდრო გურული.

(შემდეგი იქნება.)

მ ლ მ ბ ი ა.

შორს ყოფნა ობლათ!.. უთვისტომობა!.. შავი ფიქრებით სიკვდილი ცივი... არარაობის ქაოსი ირგვლივ, უიმედობის იმედის სხივი!... ნისლით მოცულა ხასხასა სივრცე! ნისლის ზღვა ბურავს თლად წმიდა გძნობებს... ჩემი სამშობლო ხელ-ფეხ შეკრული, ჯოჯოხეთში მყოფ ტყვეს მოძავანებს... და ის ლამაზი მთის თხემი, ქალა... პიტალო კლდენი ცრემლათ იღვრება, როს წმიდა ტაძარს-გმირთა აკლდამებს, დემონთ ლაშქარი ესაუბრება!..

შროშანი.

ქ. ორიოლი.

შურისძიების სხვერპლნი.*)

XI.

ივლიტა, მართლაც, მომზადებული წამოსულიყო. შეამჩნევდი, რომ „თავი ქულში“ ქონდა, უღარდელათ იჯდა და რალაცას ყურში მარინეს ჩაჩურჩულებდა. აქვე სხვა მოწმეთა შორის, პავლია ბაცაცაძე იდგა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის შესახებ მან არაფერი იცოდა, მოწმეთ დებსახელებია ივლიტას. პავლიას იცნობდენ სოფელში, როგორც წვრილმანების ქურდს. საკმარისი იყო მისთვის ორიოდე მანათი მიგეცა, რომ უუმტკიცესი ფიცი მიეღო. აი, ასეთი ადამიანი მოეწვია ივლიტას მოწმეთ, რომ მეტი სიმძაფრე მიეცა თვისი ბრალდებისთვის.

ელისაბედი დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში ჩაფიქრებული იჯდა. მას სახე გაფითრებოდა და დრო გამოშვებით ამღვრეული თვალებით ივლიტასკენ იცქირებოდა, რომლის უღარდელი ქცევა გულს უკაწრავდა მას.

მან მხოლოდ დილით გაიგო, რომ ივლიტას მასზე საჩივარი ქონდა შეტანილი. ეს ამბავი „ატუკანტმა“ გააგებია მას და თან დაამედა, „ავი აფერია. პირ-იქით, უკეთესიც არი შენთვის, ბრალდებას, რომ ვერ დამტკიცებს, ავი აშკარა და გამტყუნებული ცილის წამებისთვის სასტიკათ დაისჯება“—ო. ელისაბედიც დამორჩილდა ბედს. აბა, მეტი, რა გზა ქონდა! მიუხედავად ამისა, გული იჭვებით ქონდა სავესე. უიმედობას შეეხოჯა თელი მისი არსება და სულს უხუთავდა.

მისი საქმის გარჩევა და ვახტანგის ჩამოსვლა, სუდიასთან ერთად ქეიფი... თითქოს ელისაბედის დასაჩაგრავათ შეუთანხმა განგებამ ესენი ერთი მეორეს... განა ამისთვის „იხლათორთა“ ამდენი მან!.. ვალი და ვახში დაიდვა, ათანაირი დამცირება, სირბილი, შრომა, გადახთა თავს... გული იმედინათ ქონდა: ეზოში სიმინდი მოტეხა, მოაგროვა, იქითა კვირაში ტყეში აპრობდა წასვლას, ნადიც მოეწვია, ერთი სიტყვით, საამო ოცნებაში იყო ელისაბედი გართული, გული ნეტარებით უცემდა, მომავალი ფერადებით ეხატებოდა...

მარა... ყოველივე ეს ერთი დაკვრით დაენგრა მას, ოცნება ოცნებათვე დარჩა. ამის

დასამტკიცებლათ, აშკარათ ლაღადებდენ — ფაქტები.

„არა!... ავი ყოველათ შეუძლებელია!.. მე მართალი გამამტყუნონ და მტყუნანი გაამართლონ!.. ქვეყანაში ღმერთი და სამართალი ხომ არ დაკარგულა!.. მარა... ის ოხერი?!. ვახტანგი... ქეიფი?!. რალა ყოლიფერი ახლა მოხდა ჩემ ჯინზე?!. რალა ახლა ჩამევიდა ვახტანგი?!. ივლიტაც რა კაი გუნებაზეა!.. რავა იცინის!.. დევილუპე... დევილუპე, უცილობლათ!.. —“ და ამ აზრზე ელისაბედი ერთობ იყინებოდა, ცახცახებდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა და ღმერთს შველასა თხოვდა...

— სიწყნარე!.. — გააწყვეტია ელისაბედს ფიქრთა სრბოლა მოსამართლის მრისხანე ხმამ, რომელსაც ხარის წკრიალი მოყვა. — ტყეში ხომ არ ხართ, რომ ყიყინობთ!.. ყველას გარეთ გაგყრით, თუ არ გაჩუმებულხართ!..

დარბაზში მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გაქვავდა ისე, როგორც იყვენ; ზოგი ფეხ-აკრეფით გარეთ გავიდა.

ელისაბედი გაუნძრევლათ იჯდა ერთ ადგილას. სუდიის ყვირილი სიზმარივით ჩაესმა მას ყურში, შეშინებული წამოდგა და კედელს აეყუდა.

— ელისაბედ ბარბაცაძისა! — ხმა მალლა გამოიძახა ელისაბედი მდივანმა, როცა ერთი საქმის გარჩევა უკვე დასრულდა.

ელისაბედი ჩქარი ნაბიჯით დაიძრა ადგილიდან და კბალვით მოსამართლის წინ გაჩერდა.

მოსამართლემ მრისხანეთ აათვალ-ჩათვალღიერა იგი და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მკვახეთ შეეკითხა.

— მათე ბარბაცაძის მეუღლე — ივლიტა გაბრალეხს შენ კვატების ქურდობას; რაცხ ამაში შენ თავს დამნაშავეთ, თუ არა?..

— ბატონო, შენი ჰირიმე... თავი მომიჭრა... საქვეყნოთ შემარცხვინა ამ ხნის...

— შენ იმას არ გეკითხებიან, საქვეყნოთ შეგარცხვინა; თუ არა. იხვების ქურდობაში რაცხ შენ თავს დამნაშავეთ, თუ არა? — წყრომიარეთ შეაწყვეტია მას მოსამართლემ და კითხვა გაუმეორა.

— რის დამნაშავე, ბატონო! თელმა ქვე-

* იხ. „ცხოვრება“, № 10.

ყანამ იცის ჩემი ამბავი... ჩემ სიცოცხლეში ნემსი რაა, ნემსიც-კი არ მადევს სულზე ცოდვით. სულ მტრობით, შენი ჭირიმე...

მომიგონა... თავი მომჭრა.. მე მთხოვნელი ვარ, კარვით გამეძიოთ მაგისაქმე... ამისანა შეურაცხოფიზა... შესაფერი სასჯელი...

—ეგ შენი საქმე არაა!.. კვლავ შეაწყვეტია ელისაბედს მოსამართლემ.-ნუ გამოსულელებულხარ, დედაკაცო! კითხვაზე მიპასუხე: რაც შენ თავს დამნაშავეთ, თუ არა?.. მოკლეთ... ნუ გადამიტანე ყაყანი...

—ღმერთთა ცაში მოწამე, რომ მე მისი კვატები არ მომიპარავს... სამაგიერო...

—ხო! ასე თქვი!.. თუ არ მოგიპარავს, არ მომიპარავს--ოქვა, თქვი...

ამ სიტყვებით ელისაბედი გაისტუმრეს და დაიწყეს მოწმეების შეკითხვა.

გ. ებრალიძე.
(შემდეგი იქნება.)

კრიტიკა.

ეკატერინე გაბაშვილისა.*)

VI

მოთხრობაში „ლუარსაბმა ცოლი შეერთა“ (გვ. 513) გამოყვანილია ლუარსაბ ცხოვრებაში, ღვდლის შვილი, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში კურსი დაუსრულებია, ნამდვილი სწავლით აღჭურვილი გამოსულა ცხოვრებაში და ფრიად ჭვერმეტყველი და სინილისიერი ვეკილის სახელიც მოუხვეჭია.

ოც და ათი წლის ყმაწვილს, გარდა იმისა, რომ თვისი საცხოვრებელი ბინა რიგანათ მოუწყვია, ექვსასი თუმანიც ბანკში აქვს ხელუხლებლათ შენახული, „სოფელშიაც აქვს მამისგან დატოვებული მამული, სახლ-კარი და ვენახი“.

თვით ლუარსაბი „იყო თავით ფეხებამდი ჯენტლემენი, ყოველი ესთეტიური და არტისტული მისწრაფებით“ და, ამიტომაც, საკვირველიც არ არი, რომ ასეთ ახალგაზდას „უყვარდა ოპერა, კარგი წიგნების კითხვა, ლამაზ და მასთან განათლებულ ქალებთან ბაასი და დროს გატარებაც“.

*) იხ. „ცხოვრება“, № 14.

ბევრსაც უნდოდა იმისი დასიძება, მასთან დამოყვრება. მარა ლუარსაბს მარტო ლამაზი და განათლებული ქალები მოწონდა“.

საუბედუროთ, ლამაზ ქალებს იგი არ მოწონდათ, რათგან „ლუარსაბი იყო, თავის ხნის შესაფერათ, მეტათ ტლანქი, რომ არა ვთქვათ, დარგვალელებული ბურთივით, კისერ-მოკლე, პაქუა, წვერულვამ რიყა (?). რაც შეეხება თავის შემამკობელ თმას, ის სანთლითაც არ მოიძებნებოდა იმის გოგრაზე, არამც თუ იმის ფერი შეხამებოდა იმის წვერ-ულვამს... დამაგვირგვინებელი მიზეზი, თუ რათ ეზიზღებოდათ ლამაზ ქალებს ლუარსაბი, იყო მისი ხელები: რბილი, სუქანი და მუდამ ნესტიანი“.

მარა ქვეყანაზე დაუბოლოვებელი ხომ არაფერია და ლუარსაბის დაჯინებულს ლტოლვილებასაც ბოლო მიეცა: შეერთა ლამაზი და განათლებული ცოლი, სახელდობ, ვერა ერასტოვნა მაცთურიშვილისა, რომელმაც, მართლა, საქმრო ოსტატურათ „გააბა მახეში“.

ვერა ერასტოვნა, რომელსაც დედიდანაც მოდგამდა ისეთი ოინების ნიჭი, რომელმაც მოინელა უბედური მამა იმისი, შევიდა თუ არა ლუარსაბის ოჯახში, მაშინვე რაღაც დაუჯერებელი სისწრაფით ისარგებლა ამ ღირსეული გულის პატრონი, ლუარსაბის „ქმრობით“ და ჯიბითაც. შვილიც გაუჩნდათ. მარა ამ მოხერხებულმა „ცოლმა“ ლუარსაბის ქონება სულ ერთიანა გაუღანგა, მცირეოდენი ხნის განმავლობაში. მერე, ასე სწრაფთავე, ერთი შავთვალა იტალიელი გიჟურათ შეიყვარა და იმას გადაყვა უცხოეთში და იქიდან, აი, ასეთ სარკაზმით სავსე წერილს უგზავნის ქმარს: „Я докажу веѣмъ, что не даромъ потратила тобиѣмъ заработаннныя деньги и что сторицею возвращу ихъ своему владѣльцу“. ამაყათ იწერება ვერა, და თან განაგძობს: რაც შეეხება ჩვენ მომავალ ურთიერთობას, (მე არ მინდა მოგატყუო) ეგ ყოვლათ შეუძლებელია. მე არტისტი ვარ და თავისუფალი ფრენა შეადგენს ჩემ სტიქიას. შენ-კი, ჩემო მეგობარო, (ღმერთმანი, მეგობრათ მიმაჩდი და მიმაჩნისარ) მშრომელი მუშა ხარ და დედამიწის უნდა დაყურებდე განუყრელათ. უე-

ქველია, შენ იშოვნინდი კიდევ შენ შესაფერ და შენ ხელქვეით მეუღლეს, რომელიც საუკეთესოთ მოგიხარჩავს შენ საყვარელ ლობიო-კოლიოს და საგანგებოთ ულაღავეებს შენ პატარა იპატის. გასაოცარი ხარ ყველაფერში. მარა, სანამ ჩემ შვილს შენ დაარქმევდი მაგ უცნაურ სახელს, მანამღი გასაოცრათ-კი არ მიმაჩლი. **Если когда-нибудь онъ будетъ въ моихъ рукахъ, я сумѣю измѣнить это поповское имя и еще кое что поповское**, რაც მე ვერ მოვიხილავ შენში და, რის მიზეზითაც (ისე უსინდისოთ, შენი აზრით) გა მოვექეცი გიმინეის კავშირს“.

წარმოიდგინეთ, ამ უსირცხვილო წერილის შემდეგ, უხასიათო ქმარი გაქცეულ ცოლის ბძანებას ემორჩილება და წერილს უგზავნის, რომ იმ „პატიოსანი“ მანდილოსნის და მისი საყვარლის საქეიფოთ ფულების უხვათ მიწოდებასაც პირდება უცხოეთში.

დიდათპატივცემული ავტორი აქ სულ ერთიანა ლალატობს სინამდვილის მხატვრულათ აღწერილობას და მხოლოთ თვისი საკუთარი გულის კაპრიზებს აყოლია. რისთვის არის იგი ასე მწარეთ გაჯავრებული ლუარსაბზე, რომელსაც თავი თვისი-კი დაუფიწყნია ცოლის გულისთვის, სულთლად მის ხელში ჩავარდნილა, იმ ცოლის ხელში, რომელმაც საქვეყნოთ თავი მოჭრა, ოჯახი დაუნგრია, ერთათ-ერთი ღვიძლი შვილიც-კი კატის კნუტივით გულდამწვარს მამას მიუგდო და ვიღაც იტალიელ „შავთვალა“ მომღერალს გადაყვა უცხოეთში, რომ იქ მასთან, სხვის ხარჯზე, დრო უზრუნველათ ატაროს ორთავემ...

ამაზე შორს ვიწრო პირადი ეგოიზმი ვერაგი, გაუტანელი დედაკაცისა ვეღარ წავა. აქიდან მხოლოთ ერთი ნაბიჯი-ღაა, რომ ადამიანს ღორივით ყელი გამოჭრა და მგლებს გადაუგდო შარავნაზე შესაქმელათ. მეცნიერები ამბობენ, დედაკაცს, საზოგადოთ, ისტორიით შეთვისებული აქვს ნერვული სისუსტე, შედარებით, მამაკაცთანო, და სქესობრივ ფაქტორს მის ცხოვრებაში უაღრესი, უღიადესი მნიშვნელობაც აქვსო. ამიტომ ბევრი მეცნიერი იკვლევს ფსიქოლოგიას დამნაშავე ქალების მთე-

ლი რიგისას, კაცის მკვლელ, ვერაგ, ავაზაკ და ქურდი ქალებისას და პირდაპირ გადაწყვეტით ასე ამბობენ: „ჩვენ აქ საქმე გვაქვს სქესობრივ ფაქტორთანო“. და ამავაზრის არიან ეს ფსიქოლოგები შესანიშნავ დრამატულ ნაწარმოებში დახატულ ქალთა ტიპებზეც—ლედი მაგბეტზე, გელა გაბლერზე, ნორაზე, როზა ბერნდტზე.

მე შორს აღარ გავყვები მეცნიერებს და აქ ანალიზს არ დაუწყებ ლუარსაბის დაღუპული ცოლის ყოვლათ შეუწყნარებელ მოქმედებას, მით უფრო, რომ ჩვენ ავტორსაც საანალიზოდაც არაფერი თვალსაჩინო, სერიოზული მასალა არ მოუცია და იგი სრულებითაც არ ცთილა ცოლ-ქმარის დამოკიდებულება უფრო თანდათანობით დამუშავებია, დეტალურათაც გაეშალა ჩვენი თვალის წინ. საზოგადოთ უნდა შევნიშნო, პატივცემული ავტორი ბევრ საბედისწერო გადაწყვეტ მომენტებს ერთობ გაკვირით და ზერელეთ, სუბუქათ წყვეტს ყოველ თვის თვალსაჩინო ნაწერში და, ამიტომაც არი, რომ იმისი მოთხრობანი ძლიერ, ღრმა კვალს ვერა სტოვებენ მკითხველის გულში...

ლუარსაბის ყოველი მოქმედება აჯავრებს, გულზე ცეცხლს უკიდებს ავტორს, მის გაუტანელ, თავზე ხელ აღებულ ცოლს—კი თანაგძნობით, სიმპატიით და შენდობითაც ეკიდება. შენდობით ეკიდება იმ ქალს, რომელსაც ქალური ყოველივე დაუკარგავს, სრულიათ ჩამოურეცხია და საზიზღარ ქმნილებათ გაშხდარა... ლუარსაბზე-კი, რაღაცაზე გაბოროტებულა, შურს იძიებს და საშინლათ აძაგებს, ალბათ იმიტო, რომ უბედურის შვილმა, ავტორის დაუთანხმებლათ, გაბედა და ღამიანი, განათლებული ცოლის შერთვა ფიქრათ განიზრახა...

სხვა, რა დანაშაულობა მიუძღვის ლუარსაბს, მოთხრობიდან სრულებით არა ჩანს, და მეც... აღარ გავყვები ავტორის ზომანზე გადაცილებულ ზიზღსა და აღშფოთებას, რომელიც მოთხრობას უკარგავს ყოველ გვარ სალიტერატურო ღირსებას...

ხომლედი.

(შემდეგი იქნება.)

მოგონება.

6.

ქართველთა უმრავლესობა, ისე ლევს თავის სიცოცხლეს, რომ მის მამაპაპათგან ნაანდერძევ ქვეყანას ერთხელაც ვერ შემოუვლის, ერთხელაც ვერ განიცთის მის შვენიერების ხილვით სიამოვნებას, იმ სისრულით, რომელსაც თლად საქართველო ქვია.

ბევრ ქართველს შემოუვლია: საფრანგეთი, გერმანეთი, იტალია, სპარსეთ—ოსმალეთი, ინგლისი, რუსეთი, რა საკვირველია, სხვა და სხვა სახელმწიფოები და, ასე გაშინჯეთ. ამერიკა—ჩინეთ—იაპონეთი—კი. მარა ასეთ ქართველებს, რომ კითხვით: თფილისსა და ქუთაისის გარდა, ჩვენი ტურფა ქვეყნის ნათაღის ასავალ-დასავალსაც ვერ გეტყვიან. რასაკვირველია, ეს სავალალოა და სამწუხაროც.

ხშირათ ასე ხდება: რაც შენია, არ მოგწონს, რაგინდ კარგი იყოს იგი; რაც სხვისია, გლახაც რომ იყოს, უჩქარი. გაცნობას. კანონიერება და შეგნება—კი ასე თხოულობს: ჯერ შენი თავის უნდა გაგეგებოდეს და, მერე, სხვისი თავის საქმეს უნდა კითხულობდე.

უცხონი, ჩვენ ქვეყანას სამოთხისებურათ თვლიან. ჩვენ—კი, რა—კი ჩვენია, მის ძვირფასობას და სიღიადეს ვერ ვამჩნევთ. ზოგიერთებმა ახლა და ახლა შეიგნეს, რომ საჭიროა და სასარგებლოც ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეების დათვალიერება და... მადლობა ღმერთს. ზაფხულობით მიმოგზავრობენ სხვა და სხვა მხარეებში. ამდენ ხანს—კი ფიქრათაც არ მოუვიდოდა ვისმე ქართველს უსაქმოთ, მართო დასათვალიერებლათ, რომელიმე საქართველოს მხარეს გამგზავრებულიყო. ქართველს, რომელსაც საშვალეა ხელს უწყობს და საქართველოს ყოველ კუთხეს არ შამოივლის, მის მკხოვრებთა ყველა კუთხის სხვა და სხვა ზნე—წესს, ჩვეულებას, ხასიათს არ გაიგებს, ჭირში მწუხარების გამოხატვას, ლხინში სხვა და სხვა მხიარულებას არ დაუკვირდება და მით არ დატკბება, მათს ავსა და კარგს შესაფერი თვალსაზრისით და გონების დაკვირვებით არ გაეცნობა, ის ქართველი დიდათ შემცთარია.

რომელი სოფელი, რომელი კუთხე და ადგილი გნებავთ ჩვენი კურთხეული ქვეყნისა, რომ გძნობა-გონების დიდათ დამტკობი არ იყოს; რომელი მთა, რომელი სერი, რომელი მდინარე, ლეღე, რუ, მიდორი, ველი გნებავთ, რომ თვალთა წარმტაცი არ იყოს, არ მიგიზიდოს, არ დაგაკვიროვოს, არ გაგახალისოს, სიამე-სიტკობეა არ აგიძრას, წარსულ და მომავალზე არ დაგაფიქროს, სრულიათ უოცნებო ოცნებაში არ ჩაგადლოს? დიდებულო ღმერთო! შენ შექმენ ქართველთა სამფლობელო თელს სოფლიოთა შორის უდიდებულეს თაიგულათ, რომელიცა წილ ხვედრ ყავ ღვთისა დედისა. და—თუ მასში ქართველი სიამე-სიტკობებას, შეგება-ბედნიერებას ვერ განიცთის, თვისივე ბრალია. ქართველი ჯიუტია ყველა ერთათ და თითოული მათგანი თვისი ნების... ქონებას მოხმარება უნდა. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით ისე, რომ ჩვენ თავის მოყრას უიმედობის ბეჭედი აზის. ამაზე მტერი დაგვიცინის; ის სარგებლობს და ჩვენ—კი ხახა მშრალი ვრჩებით და, ნეტაი, სანამდი ვიქნებით ამ მდგომარეობაში?! როდის მოვეგებით გონებას?!... ჩვენ, თუ ჩვენი ქვეყნის შვილათ, ჩვენ მამა პაპათა ღირსეულ მემკვიდრეთ ვერ გამოვდგებით, ეს სულ სხვა საკითხია და ჩვენი ქვეყანა მაინც საოცნებო მხარეა....

ყოველთვის ვტკბები, სიამოვნებას ვგძნობ და, რაგინდ ცუდ გუნებაზე ვიყო, გული მიხალისდება, როცა გურია-სამეგრელო—იმერეთის სხვა და სხვა კუთხეს წარმოვიდგენ, რომელნიც არა ერთხელ დამითვალიერებია ღვდელთ მთავრებთან, კრებულში მყოფობის დროს, რომელნიც ყოველ მესამე წელს, უთუოდ, ყოველ ეკლესიის, ყოველ სამრევლოს დაივლიდენ. უზომო მადლიერი ვარ იმ დროის და ჩემ ცხოვრებაში ოქროს ხანათ მიმაჩნია ის დროც, როცა ორთვეობით დავდიოდით და თელ დასავლეთ საქართველოს ყოველ ეკლესიებს და სოფლებს ვათვალიერებდით. არ გვრჩებოდა არც ერთი მივარდნილი კუნჭულიც—კი, რომელიმე სოფლისა დაუთვალიერებელი. მაშინ, თუ ყმაწვილური გატაცება ერთსა და

იმავე საგანზე დასაკვირვებლათ არ შემაჩერებდა, ერთი საგნიდან სხვა და სხვა საგნებზე დაფრინავდა გონება, ყველაფრის ერთად გაგების სურვილით, ყველაფერს ერთად ვერ ვათავსებდი გონებაში, სამაგიეროთ, დღეს ყველაფერი მაგონდება, ყველაფერი ღრმად წვდება ჩემ გონებას და ელექტრონიკით დამივლის გულში სიამოვნება და ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის სიყვარული მიასკეცდება.*) ნეტაი, როგორც იმერი, ისე ამერი დამეველ — დამე-თვალეირებია! მაშინ-კი ჩემი ოცნება ჩემ საყვარელ სამშობლოზე ერთი ათათ და ერთი ასათ სანეტარო იქნებოდა ჩემთვის. მაშინ-კი შემეძლო მეთქვა აკაკისავით: „ჩემ სამშობლოს კარგათ ვიცნობ, მომივლია კიდით კიდე, — მეთქი. მარა ამ დიდათ სანეტარო გულის სიამონებას მოკლებული ვარ...

შევადაროთ მაშინდელი ჩემი მოგზაურობის დროის სიხალისე და დღეინდელი: ამ დიდებულ და თვალთა წარმტაც სანახაობასთან ჩვენ მოგზაურობას, ერთი ასათ სიტკბოსიამით გვაგონებს ის, რომ უზომო პატივს გვცემდა საზოგადოება, სადაც და რომელ სოფელშიც მივდიოდით. სმა-ქამა, ლხინი, შექცევა და დარბაისლური წესები სუფევდა. ახლა მაკვირს, რო ჩვენი პატივისცემით ვერ კმაყოფილდებოდენ; რაც უნდა მეთქი პატივი ეცათ, მაინც კიდევ უსრული ეგონათ...

განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსს ჩვეულებათ ქონდა: სადილზე, როცა თვით და-კმაყოფილდებოდა, წამოდებოდა; ბლადოჩინი პატარა ლოცვას წაიკითხავდა, ჩვენ ისპოლას ვუგალობებდით და ყველანი ადგებოდენ. ეს ხდებოდა შვა ქამაზე. და მით ყველანი უკმაყოფილო რჩებოდა. ერთხელ, სამეგრელოში სარევიზიოთ დაბძანდებოდა; მასპინძლები ყო-

*) თუ დრო და შემთხვევამ ხელი შეგვიწყო, განზრახვა გვაქვს ყოველი მხრის და ადგილის შესანიშნავი ძველი ისტორიული ნაშთები: ძველი ეკლესიები, ნანგრევები, სიხეები და მათზე დარჩენილი, ჩემგან გაგონილი თქმულებანი ავწერო, რომელიც, ეჭვი არ არი, ჩვენ სიძველეთა მკვლევარს ოდნავ მაინც ხელს შეუწყობს კვლევა-ძიების დროს.

ველგან ძალიან დიდი პურღვინით გვხვდებოდა: ღვედელთმთავარი-კი შვა ქამაზე ადგომას განაგებდა ყოველგან. ერთხელ, სოფელს წალენჯიხას, თავადი დიმიტრი დადიანისას ვიყავით სადილოთ; დიდებული სადილი ქონდა გამართული. ყოვლათ საღვედლომ ჩვეულებრივზე მეტი დაყო სუფრაზე. მარა მაინც ადრე აბძანდა. ძალიან გული დამწყდა ასეთ დიდებულ სუფრის დატოვებაზე. ისპოლა, რო ვუთხარით, მე წავითამამე და ხმა მალლა ვთქვი: კრებული მოგვიანებით მოვედით იმ დღეს. სხვები რო ისხდენ, ჩვენ მერე შევეუერთდით.) ყოვლათ საღვედლომ გადმოგვხედა და ბძანა: თქვენ, დაჯექით, დაჯექითო! ეს საკმარისი იყო, ყველა დავმსხდარვიყავით ისევ გაუნძრევლათ... ჩაუჯდა ყველა სტუმარი სუფრას და ილხინეს, სანამ მათი და ჩვენი ნება იყო. ამის შემდეგ, ჩვეულებათ გარდავაქციეთ: ყ—დ საღვედლო აბძანდებოდა და ჩვენ ჩაუჯდებოდით ისევ და ჩვენდა ნებისათ დაგამთავრებდით სადილს.

შედარება შეუძლებელია იმ დროინდელ სიხალისე-დარბაისლობასთან დღეინდელი: ან გულდია მასპინძლობის, ან სტუმართ მოყვარობის და უზომო პატივისცემის და სხვა... დღეს ყოველი კაცი თავჩაქინდრული რალაცას ფიქრობს, ფიქრობს, და თვით არ იცის, რას ფიქრობს, რაზე არი მწარეთ დაღვრემილი და უხალისოც!)

წინანდელ ჩემს ერთ-ერთ წერილში ჩამოვთვალე ამ ჩვენი განათლებული დროის შამოქრილი ცხოვრების მუხრუჭები და სრულის დაკვირვებით ვამბობ, რო ჩვენი მოშხამული ცხოვრების მიზეზებიც ისინი არიან, რის ხელახლა ჩამოთვლითაც პატივცემულ მკითხველს გულს აღარ გაუწყალებ.

რ. საჯავახოელი.

*) დღეინდელ გულის მომშხამველი ომისგან გამოწვეული მიზეზები სულ სხვაა. მე, საზოგადოთ, მოგახსენებთ.

რკინის მუხრუჭები

როცა დიდი ომი დაიწყო, ზოგიერთმა უბასუხისმგებლო ლიტერატორმა და პროფესორმა თვისი თავი უზენაეს მსაჯულათ წარმოიდგინა და სოფლიო რუქის გადამიჯენა დაიწყო.

ამ მხრით, განსაკუთრებით, გერმანელმა პუბლიცისტებმა და მეცნიერებმა ისახელეს თავი. შეადგინეს ახირებული, ყოვლათ უსაფუძვლო პროექტები მომავალი დიდი გერმანიისა, რომელიც მათი ოცნების მიხედვით უნდა გადაქმულაყო რიგიდან ანტიერპენამდი და ჰამბურგიდან სპარსეთის ყურემდი. ამ ფანტასტიურ იმპერიას, „შვავულ ევროპის კავშირათ“ წოდებულს, გარს უნდა შემორტყმოდა პატარა, დამოკიდებულ სახელმწიფოთა რგოლი, როგორც ზოგიერთ პლანეტებს თვარეების, ან ტრანპანეტების რგოლი არტყია. შვეიცია, ნორვეგია, დანია, პოლანდია, პოლონეთი, უკრაინა და წინა აზიის რამდენიმე პრობლემატიური სახელმწიფო გერმანიის მოკავშირეთა, თუ ვასალთა ფერხულში უნდა ჩაბმულიყო. და თელი ეს მრავალფერადი ქვეყანა მეტნაკლებათ უნდა დაქვემდებარებოდა ბერლინს, ამ ახლათ მოვლინებულ ბაღდადს ახლათ მოვლინებული ხალიფატისა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შადის სიძლიერე და ფანტაზიის სიციხოველე გერმანიის მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც აღმოაჩნდა ზოგიერთ პიროვნებას. დინჯი და ჯკუა დამჯდარი პროფესორები, არქივებსა და ფოლიანტებთან შეზღილი მეცნიერები და კოსმოპოლიტიური იდეებით გამსჭვალული ლიტერატორები, თვისი კაბინეტებისა და ლაბორატორიებიდან მზის სინათლეზე გამოვიდნენ და ჯაბუკური ვატაცებით ესპანური კოშკების შენებას შეუდგნენ. გოეტესა და ბეთჰოვენის სამშობლო ავაზაკების ბუნაგათ იქნა გამოცხადებული: მისი განადგურება დადასტურდა უმაღლესი კულტურისა და ზნეობის სახელით. ამ განადგურების პროექტები ურთიერთშორის გასხვავდებოდნენ ზოგიერთ წვრილმანში, მარა რამდენიმე საერთო მუხლსაც შეიცავდნენ. გერმანიას დასავლეთით ელზას ლორენი და რენის მარცხენა მხარე უნდა წართმეოდა, აღმოსავლეთით პოზნანი და პრუსიის ნაწილი. გაერთიანებული იმპერია ხელახლა უნდა დაშლილიყო პატარა პატარა სახელმწიფოებათ, პრუსიის ჰეგემონია უნდა მოსპობილიყო. უნდა მოსპობილიყო

აგრეთვე გერმანიის მილიტარიზმი და საზღვაო ძლიერება, ხოლო ჰოპენცოლერნთა დინასტია ტახტიდან ჩამოსულიყო. ყველაფერი უნდა გადატყვოდა გერმანელ ერს: თავისუფლება, ერთობა, ქონებრივი მორქმულობა. „დამარცხებულთ არაფერი უნდა შერჩენოდა, გარდა თვალებისა, საკუთარი უბედურების გამოსატარებლათ.“

ბრიუსელელი პროფესორი ონეზიმ რეკლიუ წერდა: „ზეკაცებმა ზეოში აწარმოეს, ვაიძლოთ, რომ ზეკონტრიბუტიაც გადაიხადონ. მათდა საუბედუროთ ჩვენ მათი სხვერპლნი, შურისმაძიებელნი და მსაჯულნი ვართ. გერმანელი ხალხის ხელმძღვანელები ღირსნი არიან, რომ ყელზე საბელ მობმულნი ქუჩა-ქუჩა იატაროთ და, შემდეგ, ბაზარში გავყიდოთ. ვინ უნდა დაისაჯოს? ყველანი! უწინარეს ყოველისა პედაგოგები, კათოლიკური და ლუთერანული ღვლლები, შემდეგ, ურიცხვი სოვდაგრები, მექარხნეები, ფინანსისტები, ყურნალიისტები, პუბლიცისტები, ეკანომისტები, ისტორიკოსები, მეტაფიზიკოსები და, ბოლოს, განსაკუთრებით სამხედრო კასტა, იუნკრები, სულ პატარა მხედრიდან დაწყებული, ვილჰელმამდი... თელი ერია დამნაშავე. გერმანელებს შეშვენით. რომ ისინი მონებათ აქციონ... ას ერთი მილიარდი უნდა განაწილებულ იქნას ას ერთ წელიწადზე, რომ გერმანელების მომავალმა თაობებმა იგძონ მამა-პაპათა შეცოდების სიმძიმე.“

მეორე უფრო ცნობილი მეცნიერი, პარიზელი პროფესორი ოლარი თეორეტიულათ ასაბუთებდა მტრებისადმი ულმობელობას: ასეთ წოდებულს, ეროვნულ პრინციპს, შეიძლება, ტირანული შედეგები მოყვეს, მიტო, რომ ის უზარმაზარი სახლმწიფოების შექნას გამოიწვევს, რაიცა საფთხეს წარმოადგენს თელი ქვეყნის თავისუფლებისთვის. თვით ხალხთა თავისუფლების პრინციპი ზომიერათ ვიხმაროთ და არა დონკიხოტურათ, ან გაუფთხილებელი პროპაგანდისტების მსგავსათ. ამ ოდნავ მიკბულ მოკბული სიტყვებიდან, ის უბრალო პრაქტიკული დასკვნა გამომდინარობდა, რომ ოლარის სამშობლოს უფლება ეძლეოდა გერმანელებისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ სწორეთ ისევე ემოქმედა, როგორც თვით გერმანელები ელზასლორენისა, ბელგიისა, შლეზ-

ვიგ-ჰოლშტეინისა და პოზნანის წინაღმდეგ მოქმედებდნენ.

სხვა დროს ასეთ სიტყვებს გერმანელებისთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ამის დაწყებამდე, როგორც გერმანელი, ისე ფრანგი შოვინისტები ხშირათ უფრო მკაცრ სიტყვებს ხმარობდნენ ურთიერთ სიძულვილის გამოსახატავათ. მირა მათი ქადაგება გამოხმაურებას არ პოულობდა ხალხის ფართო წრეებში. დღეს თვით ხალხია გაათფრებული. ცხადია, რომ სისხლის სუნით და თოფის წამლით დამთვრალი ლაშქარი დიდ სათნოებას არ გამოიჩინს დამარცხებული მტრისადმი, თუ მორადიკალე და მოდემოკრატიე პროფესორები მას მონობასა და ბაზარში გაყიდვას უქადიან. ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი საშვალეებებიც გააჩნიათ ამგვარი მუქარის გასახორციელებლათ. მათ მხარეზეა რიცხვის ძალა. მცხოვრებთა რაოდენობით რუსეთი, თითქმის სამჯერ ქარბობს გერმანიას, ინგლისი ახალშენებით, თითქმის ხუთჯერ. საფრანგეთში და იტალიაში ერთად იმდენი სული ცხოვრობს, რამდენიც ავსტრიუნგარეთში, ოსმალეთში და ბულღარეთში. მაშასადამე, შეთანხმების სახელმწიფოებს ბევრათ მეტი ლაშქრის გამოყვანა და შეიარაღება შეუძლიათ, ვიდრე გერმანიას და მის მოკავშირეებს.

არა ნაკლებ საბედისწერაა მეორე დიდი უპირატესობა ოთხთა შეთანხმებისა. ამის დაწყებისთანვე ინგლისმა ავისი ძლიერი ფლოტის შემწეობით ადვილათ შეკრა გერმანიის ზღვის ნაპირები. აღმოსავლეთით რუსის არმიამ რკინის სალტი შემოარტყა ცენტრალურ სახელმწიფოებს. ამგვარათ, გერმანია, უცეფ მოწყდა გარეშე ქვეყანას, რომელიც მას თავის პურითა და სანოვაგით კვებავდა და მისი მრეწველობის ნაწარმოებებს ასაღებდა. წინდაწინვე ცნობილი იყო, რომ გერმანიას თვისი საკუთარი ხორბალი და სურსათი დაახლოვებით ცხრა თვის განმავლებებაში ყოფნის. რათგან ომი 1914 წლის ივლისში დაიწყო, გონება მახვილმა ეკანამისტებმა დაასკვნეს, რომ დაახლოვებით 1915 წლის აპრილში, თუ მაისში შიმშილით ღონემიხდილ გერმანელებს იარაღი უნდა დაეყარათ.

გაკვირება მამაა გამოგონებისო, ნათქვამია. გერმანელებს თავი მოაქვთ იმით, რომ ისინი გამტანნი არიან და ადვილათ არ ეძლევიან სასოწარკვეთილებას. მართლაც, უიმედობა

ბუნებრივი გძნობა უნდა ყოფილიყო მათ მდგომარებაში. გერმანია რკინის მუხრუქში მოყვა... უღიადესი კოალიცია, რომელიც ოდესმე დედამიწის ზურგზე წარმოშობილა, მის წინააღმდეგ აღიჭურვა. გერმანია დაემსგავსა რკინის გალიაში მომწყვდეულ, გაათფრებულ ნადირს. მისი ენერგია გაასკეცა კრილობებმა და შიმშილის აჩლილმა. და ავაზისებური შმაგი ნახტომებით ის შეეცადა რკინის სვეტებისა, თუ სალტეების დამტვრევას.

გაუფთხილებელი ჯადოქრების მსგავსათ, ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებმა ქვესკნელიდან გამოიწვიეს გერმანელი ერის ბოროტი გენია, რომელმაც მოულოდნელი და საშიში აღმოჩენების შემწეობით ლამის გადაატრიალოს ძვლი ევროპის საუკუნოებრივი კულტურა. მგოსანთა და მოაზრეთა ქვეყანა მახვილის მჭედელთა და თაყვანისმცემლთა ქვეყნათ იქცა... უნივერსიტეტების ლაბორატორიები, ქიმიური წარმოების ფაბრიკები, სამეურნო და სამრეწველო მანქანების ქარხნები სამხედრო მასალის დამზადებას შეუდგნენ. მეცნიერებმა და აღმომჩენებმა პირიდან ჩამოიცილეს ჩვეულებრივი ნიღაბი სათნოიანი კეთილისმყოფელგისა.

რა ხდება გერმანიაში, ჩვენ არ ვიცით დაწვრილებით. კანტიკუნტათ მოსული ცნობები ტენდენციურათ შერჩეული და უსრულოა ბუნებრივათ. მარა ამ ნაწყვეტი ცნობების მიხედვითაც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანიის ტენიკასა და სოციალურ ცხოვრებაში ხდება უღიადესი რევოლუცია, რომლის მსგავსი ადამიანთა ტომს იშვიათად მოსწრებია... შეიძლება, მკითხველს ბავშობაში ჭიულ ვერნის და უფლისის რომანები წუკითხავს, ან სოციალურ უტოპისტებისა და რეფორმატორების იდეებს გაცნობია, ჭაბუკური გატაცების ხანში. სწორეთ ამ ფანტასტიურ და უტოპიურ იდეებს ესხმება სინამდვილს სისხლი და ხორცი თანამედროე ფხიზელს და კონსერვატულს გერმანიის იმპერიაში. „ოცი ათასი მილი წყალქვეშ“ გუშინ მხოლოთ რომანის სათაური იყო, ისევე, როგორც „ჰაერში ბოლოა“: დღეს ორ. ივე ცხად რეალობათ იქცა გერმანელ წყალქვეშა ნაგებისა და კეპელინების შემწეობით... რეალობათ იქცა აგრეთვე ერთგვარი სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, რომელიც წარმოებისა და აღებ-მოცემობის მოწესრიგებაში და მოსახმარ ნივთების გასაზოგადობრიობაში იხატება. ბოლოს, რეალობათ იქცნ მანქანის ადამიან-

ები ლითონისებური ჩაგონებით, რომელთა შესახებ ოცნებობდნენ ზოგიერთი რაციონალისტები და ფუტურისტები.

უახლოესი საკითხი, რომელიც გერმანიას ომის დაწყებისთანვე უნდა გადაეწყვიტა, პურის საკითხი იყო. ცნობილია, რომ გერმანიის ტერიტორია, თითქმის სავსებით დამუშავებულია და მოუხნავ დეჟუთესავათ ერთი ნაჭერი მიწაც არ რჩება, გარდა ხრიოკი მთავარბისა, ან ტორფიანი ჭაობებისა. მარა გერმანიამ მაინც შეძლო პურისა და კარტოფილის მოსავლის გადიდება, ქიმიური სასუქისა და უნაყოფო ადგილების დამუშავების შემწეობით. ჯერ კიდევ 1913—1915 წლის ბიუჯეტში, პრუსიის მთავრობამ 25 მილიონი მარკა შეიტანა ტორფიანი და ხრიოკი ტერიტორიის გასანაყოფრებლათ. შემდეგ, ეს თანხა თანდათან გადიდებულ იქნა. ქიანტველისებური შრომის წყალობით, გერმანელებმა შეძლეს ჩდილო — აღმოსავლეთ პრუსიის ისეთი დაბლობების გამოყენება, რომელნიც უსარგებლოთ ითვლებოდნენ მანამდე. გაძლიერეს ძველი დამუშავებული ნიადაგის ნაყოფიერებაც. მეურნობის ინტენსივობის მხრით, გერმანია ყველა კულტურისა და ქვეყნებს ჰარბობდა ომის დაწყებამდე. მაშინ, როცა რუსს ერთ ჰექტარ მიწაზე 7 მეტრიული კვინტი ხორბალი, ან 82 მეტრიული კვინტი კარტოფილი მოყავს, გერმანელი 23 კვინტი ხორბალისა და 150 კვინტი კარტოფილის მოყვანას ახერხებს. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიას რუსეთთან შედარებით, ორნახევარჯერ ნაკლები მამული ჰქონდა ერთ და იმავე მცხოვრებთა რაოდენობის ვამოსაკვებათ. ასეთი უპირატესობა იმით აიხსნება, რომ გერმანიაში ჯიშთა შერჩევა უფრო შეფარდებულია ნიადაგთან, სამეურნო მანქანების ხმარება უფრო გავრცელებულია, ვიდრე სადმე სხვახან დედამიწის ზორგზე. კიდევ უფრო საყურათლებოა ის გარამოცება, რომ ეს ქვეყანა ყველაზე მეტ სასუქს ხმარობს მიწათმოქმედებაში. გარდა ნაკელისა, ომის დაწყებამდე, გერმანელები მიწას ყოველწლიურათ, თითქმის ნახევარი მილიარდი ფრანკის ქიმიურ სასუქს აძლევდნენ, ე. ი., დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ყველა დანარჩენი ევროპული ქვეყნები, ერთად აღებულნი. ხელოვნურ გასანაყოფრებელ მასალებს შორის ერთი უპირველესი

ადგილი კალაქვას, ან ნაცარტუტის მარილს ეკირა. რათგან ამ მინერალის უცხოეთში გაზიდვა ომის დაწყებისთანვე შეჩერდა, გერმანიის მეურნობას დაუგროვდა უზარმაზარი რეზერვი იაფ ფასიანი სასუქისა, რაიცა მან დაუყონებლივ გამოიყენა, რასაკვირველია.

ამ რადიკალურმა ზომებმა შეასუბუქეს, მარა-კი ვერ მოსპეს სასურსათო კრიზისი. საჭირო აღმოჩნდა ფართო სოციალური სჯულდება, რომელსაც რევოლუციური ცვლილებები უნდა შეეტანა საზოგადოებრივ ურთიერთობასა და აზროვნებაში. ცნობილია, რომ გერმანიის მთვრობა არ შეუშინდა ასეთ სჯულდებას: სახელმწიფო მონოპოლიათ გამოაცხადა უმთავრესი მოსახმარი ნივთები, მეურნობისა და წარმოების ზოგიერთი დარგი თვისი პირდაპირი ზედამხედველობისა და გამგებლობის ქვეშ მოაქცია და, ბოლოს, შემოიღო საყოველთაო საქარტო სისტემა, სურსათის უფრო წესიერ და სამართლიან გასანაწილებლათ. თელი გერმანელი ხალხი დაექვემდებარა ამ საქარტო სისტემას, იმპერატორ ვილჰელმიდან დაწყებული, უბრალო შავ მუშამდე. და მისი წყალობით, ომის სიმძიმე უფრო თანაბარი ზომით დააწვა მდიდარსა და ღარიბს.

ამ გასაოცარ სისტემაში შეიძლებოდა უფრო მაღალი და საკეთილდღეო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩანასახი დაგვენახა, გერმანელ ერს რომ ის სიკვდილისა და განადგურების საქმისთვის არ გამოეყენებია. სამწუხაროთ, გერმანული წყალქვეშა ნაგებისა და დირიჟაბლების თარეშმა დასწონა გერმანული სოციალური კანონმდებლობის დადებით მხარეებს. ეს თითქმის აგრეთვე გერმანელი მეცნიერების მიერ გამოგონილ მღრჩოლავ საბერავზე, რომელიც ჯოჯოხეთის სუნთქვასავით სულს უხუთავს და სცელავს მოწინააღმდეგე რაზმებს. ცნობილია, რომ გერმანელებმა გამოაწყვეს და ამერიკაში გაამგზავრეს ორი სავაქრო წყალქვეშა ნავი, „დოიჩლანდი“ და „ბრემენი“. ამით ფაქტიურათ ინგლისის ფლოტის ბლოკადა გაირღვა: ამიტო გასაკვირველი არ არი, რომ პირველი სავაქრო წყალქვეშა ნავის ამერიკიდან დაბრუნება გერმანელებმა ანტვერპენისა და კოვენოს

აღების მსგავსათ იღვესასწაულეს. ამის წინააღმდეგ ბევრი არაფერი ითქმებოდა, რო პარალელურათ სამხედრო წყალქვეშა ნაგების თარეში არ გაძლიერებულიყო. ცნობილია, რო, ბოლო დროს, გერმანულმა წყალქვეშა ფლოტმა თვისი მოქმედების სფერო შეერთებული შტატების ნაპირებამდე გააფართოვა და თვისი უღმობელი ყოფაქცევით ყოველგვარი ადამიანური კანონი შელახა. ისე დღე არ გავა, რომ ატლანტიის უკვანში, თუ დიდი ბრიტანეთის მახლობელ ზღვებში, რამდენიმე სავაჭრო გემი არ დაიღუპოს, ინგლისისა და საფრანგეთის ნავთსადგურებისკენ მიმავალი. ეს გარემოება მოწმობს წყალქვეშა ნაგების დაუჯერებელ ტენიკურ პროგრესს, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. ამ პროგრესის წყალობით, ინგლისმა არსებითად დაკარგა მიუწოდამელი, ბუყინვალეთ განმარტოვებული კუნძულის ხასიათი. მით უმეტეს, რომ ის დღეს მისაწდომი გახდა აგრეთვე მტრის საპაერო ფლოტისთვის.

ცეპლინების პერიოდული თავდასხმა მშვიდობიან ლონდონსა და საგრაფოებზე ერთი უსასტიკესი ძლევამოსილი ქვეყანა მეომარი გერმანიისა. ეს უზარმაზარი ურჩხულის მსგავსი საპაერო გემები ექვსფუთიანი ყუმბარებს ყრიან მიუწოდამელი სიმალიდან. მათი სხვერპლები დღესაც დაუთვლელია ლონდონსა, პარიზსა და ბუქარესტში, მათი მომავალი მოქმედება მით უფრო საშიშია, რო დღემდე ცეპლინის დირიჟაბლების შენობა არსებითად აუხსნელ საიდუმლოებას წარმოადგენს გერმანიის მოწინააღმდეგეთათვის.

გერმანულმა ერმა დღემდე გაუძლო რკინის მუხრუჭებს მიტო, რო მისი გული და სხეული ფოლადის ჯავშანმა მოიცვა. გმობიარე ადამიანმა ადგილი დაუთმო ლითონის ჩაგონების ადამიანს, რომლის მოსვლა იწინასწარმეტყველა იტალიელმა ფუტურისტმა, მარინეტომ. მარა უსულო მანქანებს მაინც არ ძალუძს სავსებით ცოცხალი არსებანი შეცვალოს. ყველაზე პრაქტიკული პრობლემა გერმანიისთვის დღესაც მაინც ცოცხალი ძალის პრობლემა და ამ ომის შემდეგაც, ალბათ, ის დარჩება. მარა, თუ რუსული სატანტო დახეობების უცხოელ კორესპონდენტებს ვენდობით, გერმანული მეცნიერება და მთარობა ისე-

თივე ძნელათ დასაჯერებლი საშედეგებით კთილა ამ საკითხის გადაწყვეტას, როგორც სხვა საკითხები გადაწყვიტა ომის დროს. ორი პრაქტიკული ზომა წამოაყენეს გერმანიაში სამემერმისოთ იმ ნაკლის შესავსებათ, თანამედროე ომმა რო გამოიწვია, ახალგაზრდა მამაკატთა რიცხვის შემცირებით: მრავალცოლიანობა და უკანონო ბავშვების უფლებრივი გათანასწორება კანონიერთან. მრავალცოლიანობა ერთხელ კიდევ ნებადართული ყოფილა ოცდაათი წლის ომის შემდეგ და მისი დროებით ხელახლა შემოდება, ალბათ, დიდ შეურაცხობას აღარ მიაყენებს გერმანელი ხალხის ზნეობრივ შემეცნებას. მარა საფიქრებელია, რო მან მნიშვნელოვანი ნაყოფი მოიტანოს. უკანონო ბავშვების მფარველობა-კი, უქვევლია, შეასუსტებს მუცლის მოშლის სურვილს და საკძობლათ გაზდის, გამრავლების კოეფიციენტს.

მარა ფსიქოლოგიურათ და კულტურულათ ბევრათ უფრო საინტერესოა გერმანელი აკადემიური მოღვაწეების მიერ წამოყენებული ზომა მოსახლობის საკითხის გადასაწყვეტათ. პროფესორ ოპიცის პროექტით, „უნდა მოეწყოს განსაკუთრებული დაწესებულებები, სადაც გაუთხოვარ და დაქვრივებულ ქალებს შეეძლებათ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ, ბავში ჩაისახოს განსაზღვრული მამაკატებისგან“. ავტორი ფიქრობს, რო საქმის მოგვარება შეიძლება ისე, რო მამაკაცი და დედაკაცი პირადათ ერთმანეთს არც-კი შეხვდებიან. ის მოგვითხრობს, რო ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ჰაიდელბერგმა პროფესორმა, ებერლიანმა თავის კლინიკაში კლიენტ ქალებს ხელოვნურათ ჩაუსახა ბავშვები, სულ პატარა გამანაყოფიერებელი ნივთიერებისა და სა განგებო ხელსაწყოს შემწეობით. პროფესორი ოპიცის აზრით, ამგვარმა პრაქტიკამ, ალბათ, ფაბრიკული ხასიათი უნდა მიიღოს (იხ. მ. ლურიე, მოსახლობის პრობლემა გერმანიაში. „რუსკ. ვედ“. 28 მაისი, 1916 წლის).

შეიძლება, მკითხველო, თქვენ მდედრობითი სქესის არსება ხართ, ბავშვის ყოლა გენატრებათ. მარა გეშინიათ მამაკატებისა.

თქვენ გაღიზიანებთ მათი შეხედვა, მიხრა-მოხრა. ან უღელაშები, არხეინათ ბძანდებოდეთ! უმანკო ჩასახვის პრობლემა უკვე გადაჭრილია და შეგეძლებათ შვილის გაჩენა უქმროთა და უსაყვარლოთ. თქვენ გეყოლებათ „მექანიკური ვაჟიშვილი“, რომელსაც არ ეცოდინება, ვინ არის მისი მამა. და ცხოვრებაში ადგილი აღარ ექნება იმ დრამებს, რომელიც ასეთი სიძლიერით გამოხატეს სტრინდბერგმა და მოპასანმა.

მარა, თუ თქვენ თვარის მოსიყვარულე აღამიანი ხართ, თქვენი ბედი აღბეჭდილია საბოლოოთ. ჩქარა სამუზეუმო ნივთად გახდებით წარღვნის დროინდელ მამონტისა და დიპლოდოკუსის მსგავსათ. ჩვენი თაობა მკაცრი და სუსხიანი სეზონისკენ მიაბიჯებს და უკვე ფეხი შედგა „იდეათა შემოდგომაში“. ცხოვრება ენერჯიასა და ინტენსივობას იძენს. მარა ინტიმობას და შინაგნობას კარგავს. მეოცნებე მგოსნები ადგილს უთმობენ მომქმედ ტენიკოსებს. პიროვნება სახელმწიფოში ითქვიფება და, ჰარმონიულათ დამთავრებული აღამიანების მაგიერათ, სოფლიო ასპარეზზე ჯავშნითა და მახვილით აღჭურვილი სპორტსმენები გამოდიან.

გერონტი ქიქოძე.

სასიამოვნო მოვლინება

(წერილი ჭიათურიდან.)

დიდათ სასიამოვნოა და სასიხარულოც ის მოვლინება, რომელმაც ფეხი მოიკიდა, ისიც ამ არა ჩვეულებრივ არევე-დარევის დროს, მშრომელთა კლასში. ამ უმაგალითო „სისხლის წვიმების დროსაც“ არ იფიწყებს მუშათა კლასი თავის ერთგულ მეგობარს, მისი უფლებებისთვის თავგაწირულ-დამცველს, საზოგადო მოღვაწეს...

თუ მანამდე საზოგადო მოღვაწეებს, იმის მაგიერ, რო სიცოცხლეში დახმარებოდნენ რაიმე მხრით, მაგ., მათი ტანმთვლობისთვის ეზრუნათ და შიმშილისგან სიკვდილს აეშორებიათ — სიკვდილის შემდეგ, დიდი აურ-ზაურით ასაფლავებდნენ და, ვინ იცის, რამდენი ასიანები და მეტიც დახარჯულა უბრალოთ და უსარგებლოთაც. ის ფული, რაც დასაფლავებაზე

დახარჯულა, რო დახმარებოდა სიცოცხლეშივე, თუ არ იხსნიდა, რამდენიმე წელიწადს მაინც გაატარებებდა სიცოცხლეს ხალხის სასარგებლოთ. რასაკვირველია, წარსულს ვერ დავიბრუნებთ... მხოლოთ წარსულის მაგალითები გაკვეთილია მომავლისთვის. ამის ნიშნებს ამ ჟამათ, ჩვენდა სასიხარულოთ, უკვე კარგათ ვხედავთ... „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა,“ მართალია, სიკვდილამდე ვერ მიიქციეს ტანჯულ-წამებულს, ჭოლა ლომთათიძეს შესაფერი ყურათლება იმათ, ვისთვისაც ის შეეწირა. მარა, იმ შეცდომის ნაცვლათ, განზრახულია მისი ნაწერების გამოცემა და, როგორც ვიცით, სასურველი თანხაც შეგროვდა ტვირთ-მიძიმეთა შორის.

საუცხოო ხალისით გროვდებოდა და გროვდება მუშათა გაზეთის ფონდისთვის თანხა, რომ იარსებოს სიცოცხლით და დღეგძელობითაც მათი ინტერესების დამცველმა გაზეთმა...

ასეთივე ხალისით და დაუზარებლოთ გამოაქვთ თავ-თავიანთი წვლილი მუშათა მგოსნის, ობოლი მუშისთვის... ამით სურთ რაოდენიმეთ მაინც შეუსუბუქონ მისი ტანჯულ წამებული ბედი ამ მგოსანს.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რო მშრომელი ხალხი არას დროს არ დაივიწყებს მათი ინტერესებისთვის წამებულებს და ეცთება ყოველგან, ყოველთვის და ყოველივე საშვალელებაც იხმაროს მათი ტანმთვლობისთვის და შიმშილით სიკვდილის ასაცილებლათაც. როგორც სხვაგან, ისე ჭიათურაშიაც გულის დიდი სიხარულით გამოიღეს თავიანთი წვლილი ობოლი მუშის სასარგებლოთ და ამ შამომწირველთა სიასაც დიდი მადლობით აქვე ვაქვეყნებთ.

თითო მანათი: ვ. ლულაძის ქალმა, გ. ლოლობერიძის ქალმა, პლ. კილასონიამ, **A. ჩხაიძე**-მა, ი. შილაკაძემ, ვ. მელიქიძემ, ეენია კილასონიას პატარა ქალმა 66 კაპ.

ათ-ათი შაური: ანეტა სიხარულიძის ქალმა, ა. კობიძემ, ნ. ლაშხმა, ეურ. „ცხოვრების“ რედ., ვ. ნიკოლაიშვილმა, ა. სოფრომაძემ, და ან. შალამბერიძემ. სულ 100 მან.

და 16 კაპ. ფულის გასაგზავნათ 16 კაპ. და-
იხარჯა. ეს ათი მანათი გაეგზავნა „თ. აზრის“
რედაქციას, დანიშნულებისამებ გადასაცემათ:

II

**მგოსანი ობოლი მუშის. ს. აბაშელის
და ჯოლას ფონდისთვის.**

ორი მანათი: ბაგრატ მატეევმა, **მანათი**
ნახევარი: ირაკლი გოდუაძემ. **თითო მანათი:**
გრიგოლ ფხალაძემ, ვიქტორ კვიციანიძემ, სი-
მონ კაციტაძემ, ი. ხარატიშვილმა, პლ. კი-
ლასონიამ, სეფე ბუაძემ, თეოდორე მელაძემ,
ა. ხაბულიანმა, დ. ვ. გურუშიძემ, უცნობმა,
კონსტანტინე კაკაბაძემ, ბართლომე გაბელიამ,
პეტრე პეტრიაშვილმა, ვ. ჯიბუტმა.

ათ-ათი შაურნი: დვ. ბესარიონ ვაშა-
ძემ, ვარდოფინე ჭყონიამ, ნ. ჭყონიამ, კოწია
ქოლაძემ, თეოფ. ჭონხელიძემ, ვლადიმერ
ზურაბისძე ფუთურიძემ, ნინა მარგიანმა, ათა-
ნასე რამიშვილმა, კონსტანტინე ჭითანავამ,
კოლია რამიშვილმა თედორე რევიშვილმა
და გიორგი მელაძემ. **ხუთი შაურნი:** პაკო წერე-
თელმა. სულ 23 მან. 75 კ. ფულის გაგზავ-
ნაში დაიხარჯა 25 კ.

აქიდან ობოლ მუშას 10 მან. 25 კაპ.
ს. აბაშელს 10 მან. 25 კაპ. ჯოლას
ფონდისთვის 3 მანათი.*)

3. ოხრობეთელრ.

*)ესეც გაიგზავნა „თ. აზრის“ რედაქციაში,
დანიშნულებისამებ გადასაცემათ.

3. ო.

სომხური პრესა.

სომხურ გაზეთ „პაიქარ“-ში მოთავსებულ-
ი იყო წერილი, რომელიც მიმართულია გაზ.
„მშაკი“-ს წინააღმდეგ.

„მშაკში“ ამას წინათ დაიბეჭდა „კაცი-
ქამია“ წერილი, სომხის დემოკრატიის და
თელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ. „მშა-
კი“-ს წერილის ავტორი ამტკიცებდა, რომ
„თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტა სომხის ხალ-
ხის დემოკრატიული ნაწილის მოღვაწეობის
შედეგი იყო. და, რომ ეს შემდეგში არ გამე-
ორდეს, საჭიროა სომხის ხალხი, რაც შეი-
ძლება, შორს იყოს ყოველგვარი დემოკრა-

ტიული მოძრაობისგან, მით უმეტეს, რომ ქარ-
თველი გლეხის და სომხის გლეხების ინტერეს-
თა შორის არაფერი საერთო არ არსებობსო.
„მშაკის“ აზრით, სომხის გლეხოზა „მიწას
კავკასიის საზღვრების გარეშე ეძებს და შეუ-
ძლია მიიღოს, არა ქართველი დემოკრატიის
საშეაღებით და დახმარებით, არამედ რუსე-
თის სახელმწიფოს იმ წარმომადგენლების სა-
შეაღებით, რომლის წინააღმდეგ იბძვის ქარ-
თველი, სომხის და რუსეთის დემოკრატია“.

„ასეთია ის ბოროტი სიონისტური აგი-
ტაცია, რომლითაც სომხის ბურჟუაზია კვე-
ბავს სომხის გლეხაკობას“—აცხადებს „პაი-
ქარი“. მისი მიზანია სომხის გლეხაკობა საე-
სებით თავის განკარგულებაში იყოლიოს, რომ
ამ გლეხაკობამ თელი თვისი ძალა შეწიროს
ამავე ბურჟუაზიის იმპერიალისტურ მიზნების
გახორციელებას, უარი თქვას თვისი შინაგანი
ყოფა ცხივრების მოწყობაზე და ისაზღაოს
მხოლოდ საგარეო იმედებით. ამისთვის საუ-
კეთესო საშეაღება, რასაკვირველია, ისაა, რომ
სომხის გლეხაკობა, რაც შეიძლება, შორს
იყოს თავის მეზობლებზე. თუ გინდ ამისთვის
საჭირო შეიქნეს კავკასიის ხალხთა შორის
შურის და მტრობის თესვა-გაძლიერება. სომ-
ხის გლეხოზა ხომ არ არის, ისე მკვიდროთ
დაკავშირებული თავის მეზობლებთან, მას ხომ
არ შეუძლია გადაჭრას ესა, თუ ის სხვილი
ეკანონიური, თუ პოლიტიკური საკითხი.

„ამ კაციქამიობის და ხალხთა შორის
უმადლესი მტრობა-სიძულვილის ხანაში, როცა
ასე საჭიროა ძმობა-სოლიდარობის ქადაგება—
გამოდის ლიბერალური გაზეთი და ბედავს
ერთი უბედური ხალხი აამხედროს მასზე არა
ნაკლებ უღარიბეს და უბედურ ხალხის წინა-
აღმდეგ. გამოდინ ბოროტი საზოგადო მოღვა-
წენი, რომლებიც უარს ყოფენ იმ ქეშმარი-
ტებას, რომელიც ამბობს, რომ, თუ დღეს ამ
საშინელ პირობებში-კი შეიძლება ცოტათი მაინც
თავის მღგომარეობის გაუმჯობესება—ეს ერ-
თმანეთ შორის სოლიდარული მოქმედებით და
ერთი მეორის მეგობრული ძმური ნდობით და
ხელის გაწვდით. რა აქვს სომხის ხალხს ისეთი,
რომ ის შეეხარბოს და შეშურდეს ქართველ
ხალხს და შეეცადოს მის წართმევას? ამავე
დროს, რა აქვს ქართველ ხალხს ისეთი, რომ
ის შეეხარბოს სომხის ხალხს და მისი მითვი-
სება—წართმევა მოინდომოს? ორივე ეს ხალ-
ხი ერთნაირათ ღარიბ-ღატაკია და ამ საერთო

უბედურებაში ისინი მკვიდრი ძმებია...

„სოლიდარული იდეა მათ შორის, განსაკუთრებით, უნდა იყოს ღღეს, ამ სისხლის ღვრის და სიძვირის ღღეებში, როცა მათ წინაშე დგას ისეთი საკითხები, რომლის გადაწყვეტა—გადაჭრა უფრო მდიდარ, უფრო მრავალრიცხოვან და უფრო კულტურულ და შეკავშირებულ ხალხსაც-კი გაუჭირდება.“

„ფართო მასის შეკავშირება საჭირ-ბოროტო საკითხების გარშემო, მათი შეგნება-დამოკიდებულება ამ საკითხებთან—აი, მორიგი თავსამტრევი საკითხი, რომელიც მოითხოვს თელი ჩვენი ძალების სრულ მობილიზაციას. ამ მუშაობის დაწყება-დამთავრება, ყველა აქ მოსახლე ხალხის დემოკრატიული ძალების გაერთიანება, ამათი სოლიდარული და გარმონიული მოღვაწეობა—აი, ერთად ერთი გზა ამ მიზნის მისაღწევათ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხალხის ხსნა ფიზიკური გადაშენებიდან, მხოლოდ ეს მიცემს მას საშუალებას შეკავშირდეს და ძალა შემოიკრიბოს იმ ბედნიერი ღღეებისთვის, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვლენ არა მნაცაკანოვები, თავის კაცისკამია იდეებით, არამედ თვით ხალხის, რომელიც ხელის-ხელ ჩაკიდებით წავა იმ გზით, რომელიც მიიყვანს მას მოწინავე დემოკრატიის სამეფოში და, როცა შეუძლმბელი იქნება თვით მნაცაკანოვების*) პოლიტიკური ბატონობა“.

როგორც ხედავთ, რაც დრო გადის, პლუტოკრატიის წინააღმდეგ უფრო მედგრათ გაისმის სომხებისავე დემოკრატიის ხმა.

შენიშვნები*)

ღვდელმთავრები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი.

(თხზულებაში კმ. ჯეჰნიდისა, ჰარველი ტომი, გამც. 1914 წ.)

გადავიდეთ ახლა გიორგის აღზდაზე. ავნიშნათ, ვინ იყო მისი დედა, რა ხასიათის და მიმართულების ქალი იყო ის და რა სული ჩაებერა მას შვილისთვის! ეს—„ოთარაანთ ქვრივის“ ავტორს, ზეგარდმო მაღლით ცხებულს—ილ. ქავკავაძეს უნდა ვკითხოთ.

*) „მშავის“ წერილის ავტორია.

„იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი. სოფლის გზირისთვის, რო გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ—მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არაგებს შეეძლო გავლა ქვრივის უნებურათ. ნაცვალი, თუ იასაული, რაც გინდ ღიდი საქმე ქონდათ, ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნ და, თუ როგორმე გაბედავდნ, ისეთ ალიაქოსს ატეხდა, რო ბედსა და თავს დააწყევლიებდა. ნამეტნავათ გზირს კარგათ ახსოვდა ერთი ამბავი და, მერე, ხო მთელმა სოფელმაც შეიტყო. გზირს, ერთხელ, ერთი ქათამი წაერთმია,—ღიამბევი მობძანდა, სოფლათ ქათამებს ვაგროვებთო და ასეთი ვაი—ვაგლახი დააწია, რომ ამბობენ გუბერნატორამდი თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შეიღვეულათ დაუსვა მოურიღებელს გზირს. თუმც ქვრივის ერთი ათიოდ მანათი შემოხარჯოდა მისვლა—მოსვლაში. მარა ამას ამბობდა, თურმე;— „ფული რა არი?! ხელის ქუჩყია, ერთი თუმანი რა სათქმელია!... ჯავრი, რომ არ შევარჩინე, ეს რათა ღირს! ტყვილ—უბრალოთ რომ არ დავეჩავგრინე, ცოტაა! დეე, ამას იქით იცოდნ, რო მე ოთარაანთ ქვრივის მეძახიანო“. სწორეთ იცოდნ კიდევ. ჯგუფათ რო გლექაკობა სადმე მდგარიყო, ნამეტნავათ, თუ შიე გრია სოფლის მოხელე ვინმე, —ნაცვალი, თუ მამასახლისი და ოთარაანთ ქვრივი მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნ აქით—იქით, თითქო ალაღმა დაქროლა წიწილებსო. კაცი ვერ იტყვის, სძულდათ, თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში. შიშით—კი ყველას ეშინოდა. ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვებულს და გაკაპასებულ ბაღღებსაც —კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნ გულზე მოსული ღღეები:— „დაჩუმდი, შე არ გასაწყვეტო, თორე, აგერ, ოთარაანთ ქვრივი მოდისო.“ ოთარაანთ ქვრივმა ეს კარგათ იცოდა და ბევრს არა ნაღვლობდა, რომ ასე ეკრძალებოდნ, ერიდებოდნ და უფუთხოდნ ყველანი.— „ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომააო, —იტყოდა ხოლმე თავის-

— თავათ: ჩემი რათ უნდა ეშინოდეთ? რა ბაყბაყ დევი მე მნახესო? მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ — უბრალოთ არავის დავეჩავგრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლიო.“ სოფელმა კარგათ იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილ — უბრალოთ ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო. — „მე და ჩემა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაცია, — იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზე: არც სხვისას შეიარჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვას. ახლა შინა ნახე, რა ამბავი აქვს: თელი დღე ციბრუტით ტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი საღამომდი არ დადგებაო. სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივის. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანათ ამოიღებდა, ძირიანა მოთხრიდა. — „რაო, მუქთამუქამელოო? ეტყოდა ხოლმე „შენს ქმარს თავის-თავის გამოკვება კი — ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზე ეგ დასამიწებელი ხელები-აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული? მამაშენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზე დადგება, აი?... მეტი მოუვა, განა?... აი, დამიწდი, დამიწდი: კარგი — რამ შენა ხარ!... ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკინწლა. თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა ძნელათ იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე... „ტკბილი სიტყვა რა არისო! იტყოდა ხოლმე: — ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არი, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვია ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოფხანს. გულის ფხანა რაღა დარღუბალა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არი, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული, ან აქით მისწიოს, ან იქით, თორე ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილი დან უნდა მიძრას მოძრას კაცმა, თუ კაცს

კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევიანებდენ, რომ ძილი მოსვლოდათ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოგვრის. ის — კი არ იცინა, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.“¹⁾ ერთი შეხედვით, ოთარაანთ ქვრივში არა თუ არაფერი არ არი საქები, სახარბი ელო და სადიდებელი, არამედ ის ერთი გიყვივინმეა და, მართლაც, დამთხვეული... მარა ნუ ავჭარდებით, ავტორს არ გამოჰპარვია ეს შეხედულობა: — „ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, — ამბობდენ სოფელშიო, — მოგვითხრობს ის. მარა — „მართლა ასე იყო, თუ არა, ეს უნდა ეკითხოს ერთ სხვა ქვრივ დედაკაცს.“ დაძენს ავტორი და ისე გვიხატავს ამ უგულო „დედაკაცს, რომ არა თუ ის უგულო არ არის, არამედ გასხვავებული გულით და სულით არი დაჯილდოებული. გული მისი უხვ მოწყალებას იძლევა, სული მისი ფარავს ამ მოწყალებას და თვით მადლობის გადახთასაც არ ლებულობს, თუმც ისე არვის აძლევს მოწყალებას, რომ ერთი ლახათიანათ არ შეუკურთხოს, ე. ი., „გული არ შეუძრას, რომ ფხანით დაძინებულს (გულს), კიდობანში დავიწყებული პურივით, ობი არ მოეკიდოს“ — და არ გააგებოს მწარე ქეშმარიტება: — „თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, .. როგორც დიდოელი ლეკი — ნაბადსა.“ — ეს მოწმე ქვრივი, როგორც ავტორი მგვითხრობს: — „სოფლის ნაპირას იღვა და მეტათ წვრილ შვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო, გარჯა ეხარებოდა და წვრილ — შვილი ნახევარზე მშვერ — მწყურვალე ყავდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდე შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე. აჰა, ხეთქეო, — ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა: — დაგიღია ეგ შავი მიწის ამოსავსები პირი, შე პირშავო, შენა და შენი დღენი ძალღსავით სხვას შეყურებ, აგერ, გამო-

¹⁾ ხაზი ყოველგან ჩვენია.

ხრულ ძვალს გადმომიგდებნო. შე არ დასაცალეებლო, რისთვის მოუცია შენთვის ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!... დახე — დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოქსავით გათხვირული, ლუკმა პურის შოვნის უნარი — კი არა აქვს. რა კარგიდაეყრებათ ამ ცოდვის შვილებს! შენი მაყურებლები შენგან, აბა, რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისაგ! დედაკაცი, ამისთანებს ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე. — მადლობა!... შენთვის მაგრათ შეინახე. ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მქლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისთვის, ო შენ — მა მხემ! ეგრე ხელგაშლით, რათ იხარჯები. აი მეხი — კი დაგაყარე! მადლობა!... კარგია მუქითაა, თორე მაგასაც ხო ვერ იშოვიდი, რო... გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა... ეგ შენი მადლობა, გინდ ვახიე, გინდ ვაფხრიწე...“ მარა რომ არავინ იფიქროს: ოთარაანთ ქვრივი მხოლოთ ამ დედაკაცზე იყო გადაკიდებული, მხოლოთ იმისთვის უნდა მოწყალება და არა სხვისთვის, როგორც ეს ზოგიერთებს ჩვევიათ, უნდა ჩავყვეთ მოთხოვრებას; „გლახა — მათხოვარი ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მარა თავისებურათ-კი წამოულავებდა. — ი... ი... ი...“ შენ-კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, — მიაყოლებდა ხოლმე, როცა მოსაკითხს აწვდიდა: დავი ბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა პურს პირიდან აცლი. აი, მეხი-კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზე, შე ოხერო, რომ ავიღია თავი და დაეხეტები სათხოვრათ, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთსოფელში ვისა აქვს შეტვი ლუკმა, რო შენ გაძლიოს! ვერა ხელავ, შე გულმკვდარო, რო ვინც-კია, წელებზე ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივს შოულობს და შენ, როგორღა გარჩინოს! ქვეყნის არა გცხვენია! არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამა, თუ შენი მოვალეა, რო შეგინახოს! აი, გაგიხმეს ეგ ხელ — ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკ ტანზე, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თვისი თავი-კი შეუწახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს?

ფუ, შენს ნამუსსა!... თუ მეტათ შესაბრალოსი და ღონემიხთილი გლახა შეხვდებოდა, აძიებს ხომ ეტყოდა და ეტყოდა და, ბოლოს, დაუმატებდა: წამოეთრიე ერთი მარანში, ღვინოს ჩავაცეცხლებ. ნუ გეგონოს-კი, რო მადლს გიშვრებოდე რამეს. აი, გაქრეს, — ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს — რა. აი, ქვევრში რაღაც წუმპე, ნაძირალა დამჩა, მაინც გადასაღვრელია და, ბარემ, შენ ჩაცეცხლო. — წაიყვანდა, ერთ ორიოდ ჩარექას კაი ღვინოს გადაახუნებდა და გამოისტუმრებდა თავისებური ქებადიდებით... ერთხელ, ერთი მათხოვარი მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხათ ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია, თავისებური პილპილიც მოაყარა ზედ: კარგათ, ლაზათიანთ გამოგილანძლათ. როცა მათხოვარი გაბრუნდა, მაშინ შეასწრო თვალი, რო ფეხები დახეთქოდა ფეხუცმელობით. — დამაცა, შე არ დასაცალეებლო, დაუძახა მათხოვარს. მათხოვარი გაჩერდა. ოთარაანთ ქვრივი შევარდა სახლში, იღლიას ქვეშ ამოიჩარა ექვსი შოთი, მოვიდა მათხოვართან და დაუყვირა: მე გამომყევ, შე ადრე და მალე დასამარხაო! გაოცებული მათხოვარი გაყვა, ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში, ერთი შოლტი საქალამნე ღორის ტყავი გამოაღებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავში მათხოვარს, როსაწყალობებლმა თვალეზე ხელი მიიფარა, ცხვირ — პირში არ მომხვდესო. — აბა, შე არ დასარჩენო, ამოსხი და ჩაიცი. იქნება, ამოსხმაც არ იცოდე, შე დასალუპავო! რაო, ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არი? — კითხა ქოსმანსავით გათხვირულმა მედუქნემ. — მაშ, არა და მაგის თავის მხემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი, — იტყუა ოთარაანთ ქვრივმა.“

აი, სად იხატება ოთარაანთ ქვრივის გულის სინაზე, სისპეტაკე, სინარნარე... აი, სათაყვანო ქველმოქმედობა, რომელზეც ქრისტე გვეუბნება: — „ნუ სცნობს მარჯვენა შენი, რასაც გასცემს მარცხენაო.“ აქ ოთარაანთ ქვრივი მაღალია, ის გაცილებით მაღლა დგას

უხვ ქველმოქმედ პირებზე, რომელნიც, სიმეტისა გამო, თავიანთი ქონებისა, ან სრულიათ სხვა მიზნით, მართლაც, დიდძალქონებას იღებენ საქველმოქმედოთ, მარა დაუცხრომლათაც ყვირიან თავიანთ ნამოქმედარზე, ან არა და სხვას აყვირებენ რანაირათაც მათთვის უფრო ხელ საყრელია და არამც არ უნდათ მათი ქველმოქმედება დაიმალოს... ასეთი ქველმოქმედება ქველმოქმედება არ არის. ამას საზიზღარი ვაჭრული სუნი ასდის... ქველმოქმედებას შობოდა ოთარაანთ ქვრივი: — „მადლობა!... შენთვის მაგრათ შეინახე...“ — ეუბნება ის ქვრივ დედაკაცს. — * მაშ, არადა მისმა თავის მზემ, ჩემს თავს პურს და ვაკლებდი და მაგის ქალაქანში მივცემდი...“ იტყუა ოთარაანთ ქვრივმა.

ჩვენ არ ვიცით, იცოდა, თუ არა ოთარაანთ ქვრივმა სახარება. უფრო საფიქრებელია, არ იცოდა. მარა ის-კი ცხადია, რომ მის ქველმოქმედებას აზრი სახარებისა აქვს... სამაგიეროთ, ოთარაანთ ქვრივებს და არა მყვირალა ქველმოქმედ პირებს ეკუთვნის ქრისტეს ყურათღება, ვით დამსახურა ის მისი დროის უმნიშვნელო გროვის შემწირველმა დედაკაცმა, რომელზეც თქვა ქრისტემ: — „ამან სხვაზე მეტი ქველმოქმედება ქმნაო.“ შარა გადავიდეთ ოთარაანთ ქვრივის ოჯახში. „ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზდილი ფიცრული ედგაო, — მოგვითხრობს ავტორი. — მისი ეზო, საკმაოთ ფართო გლეხკაცისთვის, გარშემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, აფაქიზათ შენახული და დერეფნიდან მოყოლებული ჭიის კარამდი სიგძე — სიგანეზე მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ ერთი ოციოდე ნაბიჯზე უშველებლი კაკალი დგას, შტოებ ძირს დაშვებული, შემოგვრალელებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო. კაცის თვალს ეამებოდა, რომ ეს ეზო ენახა. სახლი, როგორც ვთქვით, ფიცრულია. მარტო ჩილიის მხრივ კედელი მთლიანია, სხვა მხრივ-კი ყოველგან თითო კარი აქვს დატანებული. კედლები ყოველგან დაჩითულია სათოფეებითა. ჩანს, შიშინაობის დროს ყოფილა აშენებული. ამ სახლს, მარჯვნივ, წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარღალა-სახლი-

ის უკან კალია — საბძელია და საბძელს ქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოლობილი და შიგ ბოსტანია. აქ მოყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც-კი დაჭირდება საზაფხულოთ, თუ საზამთროთ. თვისი ხელით ბარავს, თოხნის, მარგლის, სთესს და კრეტს ხოლმე. თუმც სოფელენი ბევრს იძახდენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო. მარა ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ. — თუ არ გაუგონიათ, ახლა გაიგონონო, — ამბოდა ხოლმე: — მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზე! თუ იმასა შეგნის ბარი და თოხი, მე რალა ღვთისგან შერისხული ვარ! რაუყუოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზე წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელფეხს ასაქმებს, მე რალა დარღუბალა გადამიდებია!... რა საპყარი და დეფარდნილი მე მნახესო!... ბოსტანში მუშაობა, ისე უყვარდა, რომ სხვის ხელს არ გააკარებდა. ბოსტანში პატარა რუ იყო გაჭრილი და მუდმივ და განუწყვეტლათ წყალი ჩამოჩუხიხუხებდა, სოფლის დიდი რუდან წამოყვანილი. იმ სოფელში წყალი ბევრი იყო, სოფელს ზედ შვაზე სამი წისქვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გოღვა იყო, მაშინ-კი სოფელენი წყალს ერთმანეთსა პარავდენ, ტაცებდენ ბოსტნებისა და ნამეტნავათ, ვენახების სარწყავათ. ოთარაანთ ქვრივი მეწისქვილესავით გაიდებდა ხოლმე მხარზე თოხსა და აყვებოდა რუს თავამდი. გლეხები, რომ ამ ყოფით დაინახავდენ ოთარაანთ ქვრივს, იტყოდენ: წამოვიდა მეხი და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო... სახლში რო შესულიყავათ, ყველაზე უწინარეს თვალში გვემოდა სიფაქიზე და დაგილ — დაწმედილობა იქაურობისა. ჩილიოეთის კედელზე თავიდან ბოლომდი, გახილულია და ზედ ჩამომწყვრივებულა სუფთა კურკელი ქაშანაურისა. ორიოდე ქვაბი, ტაფა, ჩაშა, ქაფქირი ძალზე დაწმენდილ დარეცხილი, მხიარულათ გადმოიკტირებიან მალლიდან, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და პატრონი აჩენიათ... კერას აქით — იქით თითო ტახტია დაფენილი ქრელის ფარდაგებითა, მარა კარვათ შენახული და ნაპატრონები. ტახტების თავზე თითო ბაცუნკალი, ან როგორც ზოგან ეძახიან, სართუმ-

ალი დგას ხარატი ნაკეთები. კუთხეში ერთი დიდი კიდობანია. ეტყობა, ძველი ნაკეთობაა. ამიტოა, რა წინა პირზე გამოხარატებულია სხვა და სხვა სახე და ძველებური გრეხილ ხვეულები სილამაზისთვის. ერთი დიდი სკივრიცა დგას მეორე კუთხეში. ეტყობა, ერთ დროს ლურჯათ ყოფილა შეღებილი და ახლაკი საღებავი გადასვლია. ამ სკივრზე აკოკოლებულია ქვეშაგები, ლურჯის სუზანით თავიდან ბოლომდე ჩამოფარებული.

გაყიდდა ღვინოსა და მომეტებულ პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილათ ყოფდა და ხუთ რიგათ ინახავდა. ამისთვის ნაჭრებისგან ქრელი ქისები ქონდა ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საქინახლოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურის და ქერების სამკაულათ, მოსაზიდავათ და საღეწათ. მეორე ქისას „ბარაქალას ქისას“ ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსთვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბევროსას, თუ ვინცობაა, სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგრო ფულს. ამ ქისას ეძახდა: „მიეცი და მოგცემსო“. მესხეთე ქისაში ქონდა საშინაოთ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მესხეთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსილას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანსა.“

ხუთი საფულე ქისა!... ეს რაღა სანტიმეტალობააო, სიცილით იტყვიან — მარა აქ სასაცილო არა არი რა. ჯერ მარტო ხუთ ნაწილათ გაყოფილი ფულიც რო წარმოვიდგინოთ, გარდა ნამდვილი ანგარიშისა, საკვირველს აქაც ვერას ვნახავთ... მარა აქ საგული-სხმო უფრო ის არი, რა ვინც ფულს ასე ანაწილებს, ის სამუშაო და დასასვენებელ დროსაც ჩინებულათ გაანაწილებს, სამუშაოსაც აგრეთვე და სწორეთ დანიშნულ დროს, დანიშნულ სამუშაოს მიაღება, ვით მასწავლებელი დანიშნულ საათს თავის გაკვეთილს... მან აგრეთვე წინ და წინვე იცის, რამდენი დაქირდება წლის სარჩოთ პური და სხვა წვრილმანი, რომელთაც ჩვენი ოჯახები არავითარს, წინ და წინ გასაზღვრულს ანგარიშს არ უწევენ... იცის, რამდენს ჩამორჩება გასასყიდათ და ისიც

კი, აღებული ფული, რაში გაუშვია და ეს, თუ გნებავთ, „ნემეცური ანგარიშიო“, რომ იტყვიან, ის გახლავთ... ნემცები, სხვათა შორის, ღვინოსაც ისე ანაწილებენ, თურმე, ვით ოთარაანთ ქვრივს ფული ქონია განაწილებული. ნემცემა წინდაწინ იცის, წელიწადში რამდონ დღეს უნდა დალიოს ღვინო და იმდენსაც ასხამს თავისთვის საოჯახოთ ცალკე საცავში. მარა, რაც გინდ გაქირდეს, რაც გინდ საპატიო სტუმარიც არ მიუვიდეს, თუ სასტუმრო ღვინო შემოღებული აქვს, სხვაგან იყიდის ღვინოს და საოჯახოს ხელს არ ახლებს; სასტუმროც აგრეთვე აქვს ნაანგარიშები. მარა, რაც გინდ გაუქირდეს, არ შეიძლება იქიდან მკირენაწილიც დახარჯოს თავისთვის; გასაყიდიც ცალკე აქვს, ესეც ხო ხელშეუხებელია, ვინაიდან ის, საცავში ჩასხმის დღიდან, ფულათ არი ნაანგარიშები. ეს ფული — კი წლიურ ბიუჯეტშია ჩატანილი, რასაც თვით კაპეიკობითაც არა მოაკლდება — მოემატება — რა. ასეთი ანგარიში მიუცილებლათ, მაღალი კულტურის მაჩვენებელია, რაც მხოლოთ ბუნებრივთ შეუგნია სოფლის უბრალო დედაკაცს — ოთარაანთ ქვრივს.

მარა უფრო მაღალს და ადამიანურს ღირსებას, გაბწყინებულს სახარების სწავლით, ოთარაანთ ქვრივში სხვაგან ვხედავთ: თავის დადება მოყვასთათვის — დაჩაგრულთათვის, არა თუ თვით დაუსახავს შეურყვეველ მცნებათ, არამედ ამასვე აგონებს, ამ გზაზე აქებებს, ამხნეებს და წაფავს თავის ერთადერთ შვილს, სულზე უტკბეს გიორგისაც. აი, მინუში ამისაც:

„ერთხელ — ჯერ გიორგი ათი — თორმეტი წლისა ძლივს იქნებოდა — ერთ მოზდილს ბიჭს თავისაზე პატარა ბიჭისთვის ქამრის ღილები დაეტყუენა. მოტყუებული ბაღლი ტირილით იჭაჭებოდა და ის-კი ღილებს არ უბრუნებდა. გიორგიც მაშინ იქ ყოფილიყო და ბაღლებთან თამაშობდა, თურმე. ყური მოკრა ბაღლის გულამომჯდარ ტირილსა. შეიტყო მიზეზიცა. დაანება თავი თამაშობას და მივარდა ღილების დამჩემებელს: მიეცი, რას ემართლებიო. იმას

ხელი ეკრა მეტიჩარასთვის და გადაეცა. გიორგი წამომხტარიყო და ქვა დაეშინა. მივარდნოდა ურჩი ბიჭი, ხელახლა წაეცა გიორგი და ცემა დაეწყო. მოშველებოდენ გიორგის სხვა ამხანაგები, ამოედოთ ქვეშ გიორგის მცემელი, წაერთმიათ ღილები და კარგათაც დაეზილათ. თუკ პატარა ბაღს დაუბრუნეს წართმეული ღილები, მარა გიორგი-კი კარგათ იყო დაბეგვილი. ცხვირი გაეტეხნათ და სისხლი დიოდა. წითელი გულის პირი სულ ჩამოეფხრიწნათ. ცხვირ-პირ დასისხლიანებული გიორგი, გულის პირ ჩამოგლეჯილი რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა.

— ეგ რა არი, შვილო, მაჩვენე ერთი, რა გაქვს გატეხილი?

— კუპრანთ თედომა მცემა.

— რათა?

— თედოს განასანთ გოლასთვის ქამრის ღილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვიდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია. ის დიდია, მე პატარა.

— მერე, წაართვით?

— წაფართვით.

— რა უყავით?

— ისევ გოლას მივეცი.

დედას იამა და შუბლზე წარბი გაეხსნა.

— ნუ გეშინია, ცხვირი გაგიკაწრავს ცოტათ, გაიზდები, დაგავიწყდება, — უთხრა შვილს.

— არ დამავიწყდება; დაცა, ერთი გავიზარდო!... მე ვუჩვენებ ცემა, როგორც უნდა.

დედამ შვილი გულს ჩაიკრა. სულ ცხონებული მამა, ცხონებული მამა, — გაიხარა დედამ: — უი, შენ-კი გენაცვალოს დედა შენი, ჩემო ქებავ და დიდებავ! — ეს გულში თქვა და გულშივე დაიმარხა. შვილს ცხადლივ არა უთხრა რა. ხოლო ცხვირ-პირი რო დაბანა და მოალამაზა, ეს დაატანა.

— აი, ჩემო კარგო, ახლა უფრო ლამაზიცა ხარ და!... წადი, შვილო, ითამაშე, ახლა უფრო მოგიხთება... ტიროდა განა გოლა?

— მაშ?

— გაუხარდა ღილები?

— მაშინვე დაჩუმდა, აღარა ტიროდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ოთარანთ ქვრივი, რომლის კარ-მიდამოში, სოფლის გზირის შეხედულობით, როგორც ავტორი მოგვითხრობს, მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლამის უნებურად, შინ გიორგის არ მიბეჭავდა არამკითხაობისთვის და გარეთ იმის გამლახველს კბილებს არ დამტროვდა თავხედობისთვის... მარა არა. მან წააქეზა შვილი, მოუწონა კიდევ წაქომაგება დაჩაგრული მოყვრისა... მიზეზიც ეს არი, რომ გიორგი არა თუ ვერ ითმენს გულცივათ უყუროს ვისმესგან დაჩაგრულს, დამცირებულს და დაბეჩავებულს მოყვასს, არამედ ვერ ითმენს თვით პირუტყვისადმიც არა აღამიანურ მოპყრობას... ამას, რა თქმა უნდა, ხალხი სიგიჟეში არამევეს გიორგის, რასაც არ მალავს ავტორიც: — „ეს ხასიათი დაჩემდა გიორგის. დედასავით, თავისი იყო, თუ სხვისი, თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა, ბევრს ამისთვის არ მოწონდა გიორგი. — „კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში, რათ ერევაო!“ — არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მარა არც თითონ იშლიდა, არც დედა უშლიდაო.“ — მარა ვინც რა უნდა თქვას. ეს ხასიათი და მიმართულება, რომელზედაც ბძანებს ქრისტე: — „იმაზე მეტი სიყვარული არ იქნება, რომ კაცმა თავი თვისი დასდვას მოყვასისთვისო,“ — მეტათ მალაღია, სათაყვანო და მისაბაძიც.

ოთარანთ ქვრივი, ვით გამჯელი, მშრომელი აღამიანიც შეუდარებელია; მისმა ხელებმა მოსვენება არ იცის და შრომის ნაყოფიც ოჯახში უწყევია, შრომისთან ერთად, ანგარიშ-მცოდნე ქალს... აქ თავის — თავად იბადება საკითხი: — „თავისით ავიდა ოთარანთ ქვრივი ამ სიმალღეზე, თუ შემკვიდრობით გადაეცა იშვიათი თვისებებო?“, ამ საკითხზე პასუხი დიდ სიმძიმეს არ მოითხოვს. ჯერ ერთი, ეჭვიც არ შეიძლება შევიტანოთ, რომ ოთარანთ ქვრივი შემკვიდრობას გავლენა არ ქონდეს. მარა, ეჭვს გარეშეა ისიც, რომ შემკვიდრობით გადაცემული კარგი თვისებები ხშირათ ჟანგდება, ვით სანაქებო, მარა

მოუფლელი დანა, თუ ის გონიერი და მკოდნე მომღვლებს არ ჩაუვარდა ხელში. მემკვიდრობა არც ისე უშველებელი რამ არი, რო მისი გაუმჯობესობა, განდ გაუარესობა არ შეიძლებოდეს!... ოთარაანთ ქვრივი დამალული, მემკვიდრობითი ძლიერება, რაც, გარდა იდიოტისა, ყოველ კაცს აქვს თვისი ადამიანობით, გაულიზიანებია და გაუჩარხავს უსწავლელს სოფლელს, მარა კარგ მწვრთნელს—ქმარს. მოთხრობაში ბევრი არაფერი წერია ქვრივის ქმრის შესახებ. მარა, რაც წერია, ისიც საკმაოა ჩვენთვის.— ოთარაანთ ქვრივი, ვით უბრალო ქალი, სასოწარკვეთილებაში ჩაყარდნილი, თავს დადგომია მომავლადე ქმარს და ტირის.

— „რა გატირებს ადამიანო! — ეუბნება მას მომავლადე, — განა შენ-კი შერჩები ამ წუთისოფელს! ყველას ბოლო ეს არი, ტირილით ნაშობი, სიცილით უნდა კვდებოდეს. სააქაოს სტუმარი ვიყავ და ახლა შენ მივდივარო, რა გატირებსო!“

— „რა ვქნა, მე უშენომა?“ — შეტირა ცოლმა.

— „როგორ, თუ რა ქნა!... გაისარჯე და ირჩინე თავი. მე-კი თითებიდან ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუქმასა ვჭამდი. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვინებიო...“

თუ ასეთი ანდერძი დაუტოვა ქმარმა ცოლს, სიკვდილის წინ, ეტვი არ არის, ის კაი აღმზღელი იქნებოდა სიცოცხლეში... მარა თვით ოთარაანთ ქვრივიც რო კაი აღმზღელათ უნდა ჩაითვალოს, კერძოთ, შვილისა, რომელსაც შეწირა 24 წლის ქალმა თვისი ახალგაზღობა და სიცოცხლეზე მეტათ უყვარდა, — „მარა, — როგორც ავტორი მოგვითხრობს, — თავის ღღეში არავისთვის შეუტყობინებია, რო შვილი ასე გაგიყვებით უყვარს, შვილსაც-კი უმალვდა თავის გულის ნადებსო,“ — ისე საზოგადოთ, ყველასი, ვის თვალშიაც, ან ქცევაში სათაკილო რამეს ამოიკითხავდა: — „რაო, მუქთა მქამელოო? ეტყოდა ის არამუშა ქალებსო, ამბობს მოთხრობა, —

შენ ქმარს თვისი თავის გამოკვება — კი ეადვილება, რო შენც მუქთად გკვებოსო! რას დაგიკრებია გულზე ეს დასამიწი ხელები, აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამა შენს აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზე დაადგება, აი!... მეტი მოუთა განა!... აი, დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარო!“

მართალია, ოთარაანთ ქვრივის მოუხეშავი შხამიანი, ტლანქი და გამომწვევი მეტყველება ყურს კარგათ არ ესმის, მარა ეს ბუნებრივ — ჩვეულებრივი მეტყველება და ნაზი, მოწყალე გული, რაც ქონია ოთარაანთ ქვრივს, დიდად უმჯობესია, ვიდრე მეტყველება ინტელიგენტური და გული დემონური... ესეც არ იყოს, ჩვენ მდაბიო ხალხს ნარნარი მეტყველებით ვერას შეაგონებთ... რალაც ბატონ-ყმობის დროინდელი უზრუნველ — უღარდელობის მორევში ტრიალისგან მან თავი ვერ დააღწია, გონიერებას არც ისე აფასებს შრომა — მუყაითობის, უფრო მომჭირნობის დაჩვევა უტირს და ამიტომ, როცა ნაზი მეტყველებით არიგებთ, გონია, რომ უბრალო რამეზე ემასლაათებით... მიტომაც არი, რო, ჩვენდა სასირცხვოთ და გულმოსაკლავათ, ერთი მათრახიანი „დარაჯი“ უფრო მეტს გააწყობს მასთან, ვიდრე ნიჭიერი ლექტორი თვისი წყლიანი ენით.

ასეთია შინაგანი და გარეგანი ფიზიონომია ოთარაანთ ქვრივისა, ძლიერება მისი სულის და სიმტკიცე ხასიათის, რაც მას სავეებით გადაუტია შვილისთვის — გიორგისთვის... გაამრავლეთ ოთარაანთ ქვრივები და იკისრეთ თავდებობა გმირების გამრავლებაზეც, — არ წააგებთ... აღზარდეთ გიორგი შკოლაში, ვით საჭიროა, მიეცით მას შესაფერი მეცნიერება და გულმშვიდათ იყავით: სირაქლემის ნაბიჯით გაექანებით წინ, ყოველი მხრით... შეადგინეთ გიორგისანა მიმართულებით პირთაგან ჯარი, მიეცით მას დროის შესაფერი აღზდა და დაინახავთ, რო თვით ჯოჯოხეთის ცეცხლმაც ვერ დაგძლიოთ... სამაგიეროთ, დაწყვიტეთ გული და სული ახალგაზღვდეს, ე. ი., წაართვით სარწმუნოება და ზნეობა, რასაც ვერავითარი მეცნიერების მიცემით ვერ

შეუვსებთ და გაამრავლებთ „მოჯამაგირეებს“... ჩააბარეთ მათ სახელმწიფო, საზოგადო და საოჯახო საპასუხებო საქმეები, ვით მართლაც არი და იმავე ნაბიჯით გაეჩქარებით უკან -- უფურსკულისკენ... სხვა არა იყოს-რა, ტრელი „მოჯამაგირეებისგან“ შემდგარი მეომრები მილიონობითაც რო გყავდეთ, მცირერიცხოვანი გიორგების წინააღმდეგ, ვერას მოიგებთ: მშრომელ ხალხს ლუკმას პირიდან გამოსტაცებთ, მანკიერებით შემოსილ ჯარს შეაქმევთ და სირცხვილისგან მაინც ვერა გიხსნით-რა, სამშობლო კერას წააგებთ...1)

ამნაირათ, პირველი საქმე არი მოდგმის, ქრისტიანულ-ზნეობრივ ნიადაგზე აღზდა ოჯახში და შეკოლაში, რაც გონებაში ახედებს კაცს; აღზდა: სიღინჯის, შრომის მოყვარობის, გამჭირიანობის, სწორი სულის და მოსიყვარულე გულის ჩანერგვით ბავშვში და არა აღზდა ავაზაკურ-კაჭკაჭური, რაც გამეფებულია ახლა „ქვეყნის წახთენის მიზეზით“... ბერძენთ ფილოსოფოსი — პლატონი, თავის დროში, ასე წერდა: — „დეე, მეწალე იყოს ცუდი ხელოსანი, დეე, აზარდოს მან, თვისი უმეცრებით, სხვაც ასეთი ხელოსანი, დეე, დაარქვას მან თავის-თავს მეწალე, კიდევ რო გაგება არ ქონდეს ამ ხელობისა. ამისგან სახელმწიფო დიდს არაფერს იზარალებს... მარა, თუ ახალთაობის აღმზდელნი, მხოლოთ სახელისთვის იქნებიან აღმზდელათ, თუ ისინი ცუდათ შეასრულებენ

1) იფიქრებს კაცი: — „ოთარანთ ქვრივი ფანტაზიური ტიპია; ავტორის მიერ დახატულია არსად არ ყოფილი დედაკაციო, თორე სად სოფლის დედაკაცი და სად ფილოსოფიაო...“ მარა ამას უფრო ის წარმოდგენს, რომელსაც სოფლის მზოვრებასთან არავითარი დაახლოვება არა აქვს, არ იცნობს სოფლის ხალხს და, თუ ერთს იცნობს, მეორეს და მესამეს არა... და რავდენია ისეთი, რომელსაც ქათმის ხორცი უჭამია, მარა სოცხალი ქათამი არ უნახავს... ასეთი ვინმეები, შეიძლება, ჩვენში არს-კი იყოს. მარა ბევრია ისეთები, რომელთაც ხალხურ მზოვრებაზე, ხალხური ზნე — ხასიათ — მიმართულებაზე, სიბძნე — სიკეთეზე და აგრეთვე მათი სიბეცე-სიჩერებტეზეც წარმოდგენა არა აქვთ... თუ უკაცრავათ არ ვიქნები, ბევრია ასეოები ინტელიგენტთა რიგებიდანაც, რომელნიც მუდამ ხალხში ცხოვრობენ... ჩვენა გვეჯერა, რომ ოთარანთ ქვრივი ნამდვილი ტიპია, ვინაიდან მზგავსნი მისნი მოიპოვ-

თავიანთ მოვალეობას, მაშინ-კი შედევს მივიღებთ სულ სხვანაირს: ცუდი შრომა მათი ხელიდან გამოსული, შექნის თელს მოდგმას უცოდინარს და მანკიერს. რომელნიც დაღუპავენ მომავალს სამშობლოსასო...“ — ფილოსოფოსი შორიდან ხედავდა იმას, რასაც უბრალო მოშაკვდავი ვერ დაინახავს, გინდ თავზეც გადაურბინოს... მიზეზიც ეს იყო, რომისი წინასწარმეტყველება გამართლდა: ერთ დროს აყვავებული საბერძენეთი... დაიღუპა... განა ჩვენ-კი ვხედავთ, რაც ამბავია ჩვენ თავზე? — რო ვხედავდეთ, არ დაეჯერდებოდით უბრალო წუწუნზე მაშინ, როდესაც ყოველიფერს ძირიან-ფესვიანათ უნდა გადაბრუნება, გადაქმნა და განახლება... სწორეთ ამ გარემოებას ვწამებთ მიზეზს იმისას, რომ სამშობლოს მოყვარული ღვედელმთავარი — ლეონიდი სრულიათ ახალს ვზახე შემდგარა მქადაგებლობაში და არ გვიქედავს ყურებს დახავსებულ მოძღვრებით...

ღიახ. დღეინდელი აღზდით გულნაკლული მქადაგებელი შეყურებს, ვით ამლზდელებს,

ბიან...*) მარა ესეც არ იყოს, ის ფანტაზიური ტიპი იყოს, თუ სურვილი იქმნა, გაჩენა მისი მძიმე არ არის. — თუ გესურს ათასობით გაჩდეს ოთარანთ ქვრივები და გიორგები, საჭიროა გავამართლოთ ჩინური სიბძნე: — „ქეშმარიტი სწავლა აძლევს ადამიანებს უზენაეს სიკეთეს — განახლებას და ამ მდგომარეობაში ყოფნას. რომ დავიპყროთ უზენაესი სიკეთე, საჭიროა 1), რომ კეთილმოწყობილობა იყოს თელს ხალხში. რომ თელს ხალხში კეთილმოწყობილობა იყოს, საჭიროა 2), კეთილმოწყობილობა იყოს ოჯახში. რომ ოჯახში კეთილმოწყობილობა იყოს, საჭიროა 3) კეთილმოწყობილობა იყოს საკუთარ თავში. რომ საკუთარ თავში კეთილმოწყობილობა იყოს, საჭიროა 4), რომ გული იყოს წმიდა და გასწორებული. რომ გული იყოს წმიდა და გასწორებული, საჭიროა 5) სამართლიანი და გძნობიერი აზრი. რომ იყოს სამართლიანი და გძნობიერი აზრი, საჭიროა 6) სოდნა უმაღლეს ხარისხამდი და 7) შესწავლა თვისი საკუთარი თავისა.“ — სისხლის დაუღვრელათ რევოლიუციაც ეს გახლავთ. მარა კაცი ათას სისულელეს უფრო შეურთავდება, ვიდრე ერთ სიბძნეს. ავტ.

*) 1894 წ. ჟურ. „კვალში“ მე გავარჩიე მოთხრობა „ოთარანთ ქვრივი“ (იხილეთ კრიტიკული წერილები: „ქართველი გლეხის შვილი“), სადაც ის აზრი მაქვს გატარებული, რომ ოთარანთ ქვრივის ნამდვილ, ცოცხალ სალიტერატურო ტიპათ ვერ ჩავთვლით, რათგან მისი მსგავსი ადამიანი საქართველოში აქა — იქ, შეი-

ისე აღზდილებსაც და რო ვერ უპოვნია მათ-
ში ის მთავარი ძარღვი, რომელიც სისხლს
არიგებს თელს ტანში, ურომლისოთ ადამიანს
არსებობა არ შეუძლია, გული აცრუებია აწ-
მყოზე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა
მყოზადედაც და სიამ-ტკბილობით გაუხედავს
უკან-ნამყოსკენ, წამოუყენებია თელი წყებ^ა
ჩვენი მიწა-წყალზე ამოკენებული სულით მალა-
ლი პირებისა, რომლებთან შედარებით, თანა-
მედროე „ლომები“ ბუზათაც არ მოჩანს და
გვმოძღვრის: „საქართველო მაშინ იყო, როცა
ასეთს გოლიათებს ზდიდაო... საქართველოს
შეუძლია ამ სიმაღლეზე კვლავ ისევ აიწიოს...
მარა ეს-კი კრიტეს მოსავი თამარის გზავსი
დედთა ხელშია და არა ბებელის იდეა-
ლის ქალისაშია.“

ამ სახით, ებ. ლეონიდის ნაშრომი, ეს
პირველი ტომი, ქადაგებათა კრებულიც არი
და ისტორიაც, რაც სულით მხილველ კაცს
ბევრ რამეს ეუბნება... მარა პირველათ იმას,
რომ არ შეგნის კაცს, მით უმეტეს, ხალხს
უარისყოფა თვისი ეროვნობისა და, ვით დე-
დის რძე მარგებელი, სარწმუნოებისა; არ შეგნის
მას, ეზოს გარეთ ეჭიროს თვალი, რო სად-
მე კუნელს წაატყდეს, როცა ეზოში თურა-
შაულიც ბევრი უბიაო... გვეუბნება, რო ვი-

ძლება, კიდევ მოიპოვებოდეს. მარა საზოგადო, ჩვენი
ჩვეულებრივი ცხოვრების ნაყოფი არ არი დღეს.
ილიამ ბევრი თვისი საკუთარი შეიტანა აქ და შექნა
ერთი მდიდარი ფსიქოლოგიური სახე, რომელიც, მარ
თლაც, გასაცვიფრებელია...

პატივცემულ ჩვენთანამშრომელს, ბ—ნ კირილე
წუთისოფელს, ჩვენი წერილები, შესაძლებელია, არც
ახსოვს და მით უფრო სასიამოვნოა ჩვენთვის, რომ
იმისანა ზედმიწევნით მცოდნე ჩვენი მდაბიო ხალხისა,
როგორც ნიჭიერი ავტორი ბმანდება, აღიარებს, რომ
„ოთარანთ ქვრივის“ მსგავსნი მოიპოვებიანო მხო-
ლოთ...

ღიახს საქართველოში აქა—იქ, მიუცილებლათ,
„მოიპოვებნან“ და იგი თლად ფანტაზიაც არ არის. და
ეს განსაკუთრებული, ძნელად დასანახავი (ИСКЛЮЧИ-
ТЕЛЬНЫМ) ტიპი შექნა ილიამ ქართულს ლიტერატურა-
ში, რომელიც ფსიქა—ფილოსოფიური თვალსაზრი-
სით ჯერ კიდევ განხილული არც არის...

ხომლედი.

საც თვისი სამშობლო კარგათ შესწავლილი არა
აქვს, არ წამს მისი ძველი, აწმყო და მომა-
ვალი, მოავგონდება და არ დაეწაფება სამთხვე-
ლოთ მისი წინაპრების სისხლით გაპოხიერებულს
დედამიწაზე, ის თვისი არსებობით გამოხა-
ტავს იმ ერთგვარს, ციფრში მიღებულ ნიშანს,
რომელიც მგვრალათ იხატებაო ხოლმე... გვას-
წავლის, რო, ვით გლოვა-მწუხარებაა მშობლე-
ბისთვის ის შვალი, რომელიც ოჯახს გაექცევა
და, ვით უძღები შვილი, კარი-კარს დაიწყებს
ლოლიალ-წოწილს, თავის ოჯახის გულსაკლა-
ვით და პირუკმო, მხიარულობაა ოჯახისნეტარე-
ბაა ის შვილი, რომელიც გარეშე ნაშოვნს
შინ მოიტანს და ოჯახს გააკოჩალებს, ფხვსე წა-
მოაყენებს, ისე გლოვა-მწუხარებაა სამშობლოს-
თვისაც მისგან გაქცეული ქართველი და ნეტა-
რება-მხიარულება ის ღირსი შვილი სამშობ-
ლოსი, რომელიც გარეშე ნაშოვნს (სწავლა-
მეცნიერებას) თავის სამშობლოს მოახმარსო...
ღიახ! ეს არი მოკლე და ორიოდე სიტ-
ყით გამოთქმული შინაარსი ყოველად საღდე-
ლო ლეონიდის ქადაგებათა კრებულისა... მა-
რა იგივე, ვით ისტორიაც, დიდი შემატებაა,
სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, სოფლის საღდე-
ლოებისთვის... მდაბიო მკითხველიც ამ წიგ-
ნით ეცნობა ისეთს ისტორიულ პირებს, რო-
მელთა არსებობაზე სრულიათ არა იცოდა-რა...
და რა-კი ამ წიგნს პირველი ქვია, დარწმუ-
ნებული უნდა ვიყოთ, რო მას შემდეგებიც
მოყვება საღდებლათ საქართველოს ეკლესიისა
და სასახელოთ ჩვენი ოქროპირი ღვდელმთავ-
რის ლეონიდისა.

კირილე წუთისოფელი.

29 ივლისი, 1915 წ.

მოგზაურობა რაჭა— დეჩხუმში.

(ჭელიშის მონასტრის ხელნაწერები.)

უმრავლესობა ჭელიშის მონასტერში და-
ცულ ხელნაწერებისა გადმოუტანიათ სხვაეი-
დან, სხვაეის, ან ველტყევის უდაბნოს გაუ-
ქმების შემდეგ. მარა ახლა ძნელია დანამდვი-

ლებით ითქვას, რომელი, ან რამდენი მათგანი ეკუთნოდა სხვაგვის უღაბნოს. ამის მიზეზი იყო დაუდევრობა ან, უკეთა ვთქვათ, შეუზღებლობა მონასტრის მმართველობისა, რომელნიც ამ ხელნაწერებს არ აძლევდენ არავითარ მნიშვნელობას და, ამის გამო, ეკლესიის ქონებათა აღწერილობაშიც არ შეუტანიათ. როგორც ზეერთაც მოვიხსენეთ, ბევრი ძვირფასი ხელნაწერები დაკარგულა სამუდამოთ მეცნიერებისთვის. ხოლო დანარჩენნი მიუყრიათ ეკლესიის კუთხეში, სხვა უხმარ და უვარგის ნივთებთან, რომელშიაც მონასტერი არ საჭიროებდა. ამის გამო, ხელნაწერები იმდენათ დამპალ-დანესტიანებული აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქნა მათი გამომზეურება და თითო ფურცლობით შრომა, რასაც მოუწდა თელი ერთი თვე. გაშრობა-გამზეურების შემდეგ, შექაღების და გვართ, გადავთვალთვალთ ხელნაწერები და ამ გადავთვალთვალთ შემდეგია ქვემო მოტანილი მათი მოკლე აღწერა. არ ვიტყვი, რომ ხელნაწერები რიგიანათ შეგვესწავლოს. ამისთვის მაშინ (1902 წელს) არც დრო გვქონდა და არც, გამოვტყდებით, ცოდნა გვიწყობდა ხელს. მიუხედავთ ამისა, ხელნაწერების ქვემოთ მოტანილი აღწერა არ უნდა იქნეს მნიშვნელობას მოკლებული მკითხველ საზოგადოებისთვის და, განსაკუთრებით კი, იმათთვის, ვისაც აინტერესებს ამნაირი სიძველენი, როგორც მასალა სამშობლო ქვეყნის და ისტორიის შესწავლისთვის.

1) სახარება, 12X10 სანტიმეტრი, პერგამენტზე ნაწერი. სახარებიდან დარჩენილა მხოლოდ 51 ფურცელი, ყდა არ შენახულა. თავიდან ხელნაწერს აკლია 241 ფურცელი, ე. ი., მათეს და მარკოზის სახარება თლად, ხოლო ლუკასი—მე 14 თავის 34 მუხლამდი. ბოლოში, ხელნაწერს აკლია იოანეს სახარება, თითქმის თლად. ამ სახარებიდან დარჩენილა მხოლოდ პირველი თავის 48 მუხლი. სახარებაში დარჩენილი უკანასკნელი ფურცელი თავდება 48 მუხლის შემდეგი სიტყვებით: რქა მას ფილიპე მოვედ და იხილე. იხილა რაჲ იესო 1). პაგინაცია ხუცური ასომთავრული

1) ბრიტანიის გამოცემულ ქართულ სახარებაში და აგრეთვე რუსულ—სლავურ თარგმანში ეს სიტყვები შეადგენენ დასასრულს. არა მე 48 მუხლისას, არამედ—46-სა.

ასოებით დასმულია თითოეულ რვა ფურცლოვან რეგულზე. დაწერილია ერთი შევნიერი ნუსხა ხუცურის ხელით. ხელნაწერი ტექსტის მუხლებით დაყოფაში ნაბეჭდ სახარებებს არ ეთანხმება. ძირს, არშიაზე ხელნაწერს აქვს ოთხთავის პარალელურ ადგილების საჩვენებელი, ხოლო გვერდის არშიებზე—სახარების საკითხავებისა. საჩვენებლები წითელი მელნით და ასომთავრულის ასოებით არის აღნიშნული.

კარგი იქნებოდა ამ ოთხთავის ტექსტის შესწავლა და შედარება სხვა ხელნაწერ სახარებების ტექსტთან. მარა ამის საშეაღებას ამ ხანათ, სამწუყაროთ, მოკლებული ვარ: მოვიტან მხოლოდ ერთ ადგილს, რომელიც ამ თოთხმეტი წლის წინათ ამომიწერია ამ ხელნაწერ სახარებიდან და შენახულა ჩემ ქალაქებში.

„....*) რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებას 1) შენსა: და ღმზარე ეგრევე მსგავსად 2) ბოროტი: და ეწ ესერა ესე ნუგეშინის ცემულ არს: ხოლო (ბ) შენ იტანჯები XX:)

და ამას ყოველსა 3) თანაშორის (შს) ჩვენსა (ჩნსა) და შენსა დანახეთქი დიდი დან. ტკიცებულ-არს, რათა (რა) რომელთა (რლთა) უნდეს წიაღსლვად 4) ამიერ თქვენდა: ვერ ხელეწიფების: 5) არცა მაგიერ ჩვენდა წიაღს-მოსლვად 6):

ხოლო (ბ) მან თქვა 7): გლოკავ შენ, მამაო, მიავლინეგე სახლსა მამისა ჩემისასა: რამეთუ (რ) მისხენ ხუთი ძმანი. რათა (რა) აუწყოს მათ და არა მოვიდენ იგინიცა ადგილსა ამას სატანჯველისასა: 8).

პრქვა მას აბრაჰამ 9): ჰქონან მოსე და

*) იხ. სახარება ლუკასი თ. 16, 25 მუხლიდან. XX) სასვენი ნიშნები ღენისა.

1) ბრიტანიის გამოცემაში: ცხოვრებასა: 2) მსგავსათ; 3) ყოველთა; 4) წიაღს ლუად; 5) ხელე წიფოს; 6) მოსუუად; 7) პრქუა; 8) სატანჯულისასა ეს მუხლი ბრიტ. გამოცემაში და აგრეთვე რუსულ—სლავურში ორ მუხლადაა მოყვანილი (ლუკა 16, 27 და 28); 9) ბიტ. აბრაჰამ; 10) მათი ისმინონ; 11) მსთქუა; 12) აბრაჰამ, 13) უკეთუ; 14)—ვინმე მკუდრეთით აღშდგეს და მივიდეს მათ შეინანონ. სლავურ—რუსული თარგმანის ეს ადგილი ხელნაწერის რექსტს ეთანხმება. ეს ხელნაწერის მუხლიც ბრიტანიის ქართულ გამოცემაში და სლავურ—რუსულ თარგმანშიც ორ მუხლათ არის გაყოფილი (მუხ. 26 და 30). 15) პრქუა: 16) აბრაჰამ; 17) უკეთუ; 18) მოსესი; 19) ისმინონ; 20) აღშდგეს; 21) პრწვენეს; 22) პრქუა; 23) იესო; 24) თვისთა, 25) მოსლუა.

წინასწარმეტყველნი ისმინედ მათი 10): ხოლო მან თქვა 11): არა მამაო აბრაჰამ 12): არამედ (ად) უკუეთუ 13) ვინმე მკუდრებით ვიციდეს მათა შეინანონ 14):

ჰრქა 15) მას აბრაჰამ 16) უკუეთუ 17) მოსვეისი 18) დმ წინასწარმეტყველთა არა ისმინეს 16): არცალა მკუდრებით თუ ვინმე აღდგეს 20) ჰრწმენეს 21) მათ:

ჰრქა 22) ძვ 23) მოწაფეთა თუისთა 24) შეუგვანებელ არს საცთურისა არა მოსლვაჲ 25): ხოლო (ბ) ვაჲ ვისგან მოვიდეს: უადვილეს 1) არს მისა: უკეთუ უკუეთუმცა 2) ლოდი ფქვილისა 3) ზედვა ედვა 4) ქედსა 5) და შთავრდომილ იყო ზღუარა: ვიდრე არა დაბრკოლებასა 6): ერთსა ამას მკირეთავანსა.

არამედ (ად) ეკრძალენით თავთა თქვენთა: უკუეთუ 7) შეგცოდოს 8) ძმამან შენმან: შეპრისხენ მას: და უკუეთუ 9) შეინანოს მიუტევე მას:

დალაოუ შუიდეზის 10) დღესა შინა... მოვიტანთ კიდევ რამდენიმე ადგილს, სადაც არი გასხვავება ნაბეჭდ სახარების ტექსტიდან:

„და მოვიდეს იგი სახილ“. საჩხერეში და მოსკოვში ნაბეჭდ სახარებებში და აგრეთვე ბრიტ. საზოგადოებისაგან გამოცემულში ამ სიტყვებს დართული აქვს სიტყვა: — „თვსსა“ (იხ. ლუკა თ. 15, მუხლი 6).

ჰელიშის ხელთნაწერი: „ათი სატირი“ (ლუკა 15, 8)

„რამეთუ (რ) ვიპოვე სატირი იგი, რომელი წარმიწყმდა (მ. 9)

„ცხონდებოდა იგი არა წმიდად (მ. 13)

„და ვითარცა (ვ-ა) წარსწყმიდა (მ. 14)

„განიძრახვიდა თავსა თვისსა და თქვა (მ. 17)

„და მოიებთ ზუარაკი იგი მსუქანეჲ (23)

„წარწყმედილ იყო (24)

„რამე ვყო (თ. 16 მ. 3)

„ვარ დამადგინებდეს მე მნეობისაგან (მ. 4)

„ასი ოც და ათეული იფქლისა (მ. 7)

1) უადვილეს; 2) უკეთუმცა, 3) ვირით საფქუპლისა—სლაფურში: „жерновъ оселкѣй“, ხოლო რუსულში: „мельничный жерновъ“; 4) ზედა ედუა; 5) ქედსა მისსა; 6) დაბრკოლებად; 7) უკეთუ; 8) შეგცოდოს შენ; 9) უკეთუ; 10) შეგცოდოს შენ; 11) უკეთუ; 12) შვდ—გზის. ხელნაწერის პირველი მუხლი მე XVII თივისა უდრის ორ მუხლს ნაბეჭდ სახარებისას (თავი XVII, 1 და 2).

„ხოლო (ბ) ძენი ამა სოფლისანი (8)
„რათამს მოაკლდეთ თქვენ ამიერ სოფლით (9)
„და მრავალსადა ზედა (10)
„ანუ ერთი იგი სძულდეს (13)
„შჯული საგანი ერთი მოხატული (17)
„დაბეჭდილ ქარ. სახარებები:
„დრაქმა ათი“
„რამეთუ ვაპპოვე დრაქმაჲ იგი, რომელი წარვსწყმიდე.

„ჰსცხონდებოდა იგი არა წმიდებით.
„და ვითარცა წარავო.

„და მოეგო რა თავსა თვსსა ჰსთქუა.
„და მოიებთ ზუარაკი იგი ქამებული.
„წარწყმედილ იყო.

„რამე ვყო.
„გარდავსდგე მე მნეობისაგან.
„ასი სათოველი იფქლისა.

„რამეთუ ძენი ამის სოფლისანი.
„რა ეამს მოაკლდეთ თქუპნ ამიერ.
„და მრავალსა ზედაცა.

„ანუ ერთი იგი მოიძულოს
„ჰსჯულისა ერთი რქა.

„ლოკას სახარების ბოლოს ტექსტი თავდება მინაწერით, რომლიდანაც ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1013 წელს. მინაწერი ტექსტის ხელითაა დაწერილი. მომაქვს იგი შემოკლებლათ.

„ამბერი.
(შემდეგი იქნება).

ახალი ქართული წიგნები.

რედაქციამ მიიღო დიდ მნიშვნელოვანი ქართული ახალი წიგნები, რომელიც შეუდგენია ქართველ დაუღალავ მუშა მწერალ-მოღვაწეს, ბ-ნ ზაქარია ქიქინაძეს, სახელდობ:

- 1. ქართული სტამბები, ფასი 1 მან; 2. ქართველი ერის მიმართვა საფრანგეთსა და ინგლიზთან, ფასი 20 კაპ.; 3. ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია, ფასი 10 კაპ., 4. ვახტანგ მეექვსესა და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე, ფასი 15 კ. და 5. სარგისთმოგველი და მისი დილარიანი, ფასი 15 კაპ.

ყველა ეს ზემოდასახელებული ნაშრომი ჩვენი ზაქარიასი თავის ფულათ გამოუცია, ამ უშველებელ სიძვირეში, ერთ ყმაწვილკაცს, სახელდობ, ბ—ნ ვარლამ ტყეშელაშვილს, რომელსაც ამისთვის ყველა ქართველი დიდ მადლობას მოახსენებს.

რედაქტორ-გამომცემელი **რომანოზ ზანცხავა**

ნებადართულია სამხედრო ცენზურისგან. სტამბა „მომბა“, პუშკინის ქ., სახ. გოკიელისა.

სალიტერატურო კონკურსი

სიტყვა კაჟმულ ნაწარმოებზე.

ვაცხადებ სალიტერატურო კონკურსს საუკეთესო სიტყვა-კაჟმულ ნაწარმოებზე.
ფულის პრემია 50 მანათი.

- 1) კონკურსში მონაწილობა შეუძლია მიიღოს ყველამ.
- 2) ნაწარმოები უნდა იყოს ორიგინალური და დაუბეჭდავი.
- 3) ნაწარმოები თავის ზომით არ უნდა ჰქარბობდეს ერთ საბეჭდო ფურცელს (16 გვ.) და არ უნდა იყოს ნაკლები ფურცელის მეოთხედისა (4 გვ.)
- 4) უკანასკნელი ვადა საკონკურსო მასალის წარმოდგენისა არი 30 ნოემბერი, 1916 წ.
- 5) დაჯილდოება მოხდება ქუთაისის თეატრში, საზოგადოების თანდასწრებით.
- 6) დაჯილდოების დღე 18 დეკემბერია.
- 7) დაჯილდოებული მოთხრობა ჟურნალ „ცხოვრებაში“ დაისტამბება, ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიული ცნობებით.
- 8) ჟურის წევრები შედგებიან: გაზეთების „მეგობრის“, „სამშობლოს“ და „თანამედროვე აზრის“ რედაქციების წარმომადგენლებიდან (თითო პიროვნება) და ერთს მე ვნიშნავ.
- 9) ჟურის წევრები მონაწილობას კონკურსში ვერ მიიღებენ.
- 10) არჩეულ პირებს ნება აქვთ მოიწვიონ კიდევ ორი წევრი, თუმცა საჭიროთ დაინახავენ.
- 11) საკონკურსო მასალა გამოიგზავნება „მეგობრის“ რედაქციის მისამართით, ზემო სახელობაზე, რომელსაც ზევიდან უნდა ეწეროს რამე დევიზი. ნაწარმოები ხელ მოუწერელი უნდა იყოს. მეორე კონვერტში იქნება აღნიშნული ავტორის ვინაობა, მხოლოდ კონვერტზე საკონკურსო ნაწარმოების დევიზი უნდა იქნას წარწერილი.
- 12) ვინც საკონკურსო პირობებს დაარღვევს, მისი ნაწარმოები გაურჩეველი დარჩება.

მასო ჭითავა

ქ. ქუთაისი.

P. S. ვთხოვ; სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს განცხადება.

გ. ქ.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წელსა

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება“-ში

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ. წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრებებს ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „მშობა“), ისიღორე კვიციანიძისთან. თფილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ. ძე სვანიძისთან. გორში — ალექსანდრე კრამანიშვილთან, ჭიათურაში — პლატონ კილასონიასთან, სამტრედიისში მინა კოპალეიშვილთან, ბათუმში — „განთიადის“ კანტორაში, საჩხერეში — სიმონ გაჩეჩილაძისთან, ბაქოში — სანდრო ქურდიძისთან, ქალაქის თვითმართველობაში და პეტროგრადში — ალექსანდრე არაბიძისთან...

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.